საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

პარასკევი 11 ივნისი 1920 წ.

# ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში **125 მანეთი.** ცალკე ნომერი ყველგან **5 მანეთი** განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი **10 მანეთი.** მეოთხე გვერდზე **6 მანეთი.** სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის **(15—2) 200 მანეთი.** ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: **ერთობის ქ. № 4.** შესახვევი რუსთაველის ქუჩის **№ 18-თან. ტელეფონი 16—62.**

№ 129 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 129

მოქეიფენო ყველა ქვეყნისა შეერთდით.

## პატივცემულო საზოგადოებავ!!!

**ქართველ მსახიობთა კავშირი** პირველად მრავალს მოკითხვას მოგიძღვნით შორიდან ხელის-ჩამორთმევით, ვასო აბაშიძის, მ. საფაროვ-აბაშიძის, ელ. ჩერქეზიშვილის, ვ. გუნიას პირზე კოცნითა და კეთილის სურვილებით. ვიცით თქვენი კეთილი გულის ამბავი, რომ ჩვენს ამბავს იკითხავთ, მაგრამ რადა საკითხავი ვართ უთეატროდ დარჩენილები — ამიტომ გადავსწყვიტეთ **კვირას, 13 ივნისს** ქართული კლუბის ბაღში გავმართოთ

დილამდე!!!

# სახალხო სეირნობა

ბაღში!!!

გადაჭარბებულის პროგრამით, რაზედაც, გთხოვთ გვეწვიოთ და თვითონ დარწმუნდებით. — გამოვაცხადეთ **მობილიზაცია** კავშირის ყველა წევრ-მსახიობთა პატივცემულ დამსწრე საზოგადოების ჯიბეების დასაცარიელებლად, სიფხიზლესთან და მოწყენილობასთან საბრძოლველად.

აქეთ ორთაჭალა!!! იქით ვერის ბაღები!!!

ჰაი, ქეიფი!!! ჰაი, ლხინი!!! ჰაი, ცეკვა-თამაში!!!

## უსათუოდ გათენებამდის.

მოვიწვიეთ **ზურნა, საზანდარი, სამხედრო ორკესტრი!!!** დილით ყველას გეპატიჟებით გარეთ უბანში **ხაშზე ვასო აბაშიძის** დუქანში. ჰო, კინაღამ დაგვავიწყდა მოგწეროთ, რომ ისიც გვექნება, აი ყველა სეირნობაზე რომ აქვთ ხოლმე: **პტიშვო, ლატარია,** (რა ვიცი იქნება გერგოთ რამე ან სააღდგომო ბატკანი, ან საჯირითო ინგლისური **ჯორი** და სხვა.) ყვავილებით ბრძოლა, სერპანტინი, კონფეტი, კიოსკები, ფოსტა, მაშხალები, შუშხუნები.

არც ნაზად მოქეიფენი დაგვივიწყეთ, იმათთვის ვმართავთ სახაფხულო თეატრის დარბაზში **ევროპიულ ლხინს.**

**სცენაზე-კაბარე.** ვინ იცის რა ნომრები არ არის შეტანილი პროგრამაში, რათა არც ერთს არ დაეტყოს დაღვრემილობა და სიცილის ცრემლებს იწმენდდეს.

## ლ ო ტ ო ბ ო ლ ო მ დ ი ს.

სხვა რაღა მოგწეროთ! ნახვამდის!!!

მოკრძალებით და დაგხვდებით!!!

პატივისცემა ჩვენ კისერზე იყოს!!!

გელოდებით!!! მეორე დღეს გაიგებთ რა გუნებაზედაც დადგებით.

მარად ჟამს თქვენი კეთილის მსურველნი საღამოს დიასახლისნი.

ღრმად დამწუხრებულნი: ცოლი ლიზა შვილებით, ძმა ლევანი, რძალი იულა ცხადაიები, სიმამრი ივანე, სიდედრი ოლღა, ცოლის ძმები ვლადიმერი და გრიგოლი პირტახიები და ცოლის და ნატალია ქმრით ალექსანდრე შენგელიათი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 8 ივნისს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროვოდ გარდაიცვალა რკინის გზის საავადმყოფოში მათთვის ძვირფასი

**ერმალო თეიმურაზის ძე ცხადაია**

წასვენება ქალ. ფოთში მოხდა 10 თიბათვეს, სალ. ფოთის მატარებლით, დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება. (1850 1—1)

გულდამწვარნი: მიშა ბესარიონის ძე კორძაია შვილებითურთ, ვერა ბესარიონის ასული კორძაია, მელქისადექ გიორგის ძე მიქელაძე მეუღლითურთ, ალექსანდრე და მიხეილ ბეგლარის ძენი კორძაიები, ამით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ პირველი საყვარელის მეუღლისა, მეორე ძვირფასი რძლისა, მესამე დაუვიწყარის დისწულისა და უკანასკნელთა ბიცოლასი

**სადას იოსების ასულ კორძაიასას**

რომლის გამოსვენების დღე დანიშნულია შაბათს, 12 ივნისს ა. ს. დილის 9 საათზე სოფელ საჭილაოში. (1852 1—1)

კვირას, 13 ივნისს დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი ქ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე პედაგოგის

**კონსტანტინე თეოხარის ძის მკურნალის**

სულის მოსახსენებლად, რასაც მისი ოჯახობა აცნობებს ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს. (1839 2—1)

მესანგრე ათასეულის უფროსი, აფიცრები და ჯარისკაცები ამით აცხადებენ, რომ 11 ივნისს, 12 საათზე ბრძოლის ადგილზე ს. საბუზაროსთან (ახალციხის მაზრა) 1919 წლის 9 თებერვალს ბრძოლის დროს გმირულათ დაღუპულთ

კაპიტან **მიქელაძის** და ჯარისკაცების **გიორგი მარგველაშვილისა, ისააკი ზაზიკაშვილისა** და **ნიკოლოზ ჩიტაძის**

სულის მოსახსენებლათ იქნება გადახდილი პანაშვიდი. (1860—1—1)

**საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის**

## ცენტრალური კომიტეტი

**მოთავსებულია ერთობის № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79**

## განცხადება

მომარაგების კომიტეტის და მომარაგების სამინისტროს გაერთიანების გამო, ყველა დაწესებულებანი და კერძო პირნი, რომელთაც რაიმე ანგარიშები აქვთ მომარაგების კომიტეტთან, კეთილ ინებონ და გამოცხადდენ შემდეგი მისამართით: თფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 133, არა უგვიანეს მიმდინარე თვის 20 რიცხვის და გაასწორონ ყოველგვარი ანგარიშები იმ დაწესებულებათა და კერძო პირთ, რომელთაც ნებადართული აქვთ საწყობებიდან რაიმეს მიღება,—მიმდინარე თვის 15 რიცხვამდე, რის შემდეგ ყოველგვარი ნებართვა გაუქმებულ იქმნება.

(ნ. 1—1) **მომარაგების კომიტეტი**

## სახელმწიფო თეატრი

**შაბათს, 12 ივნის,** ქართველ მსახიობთა მიერ, საუკეთესო ძალთა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება წელს **პირველად ი. გედევანიშვილის**

# სინათლე

## მეორე ნაწილი

სახელმწიფო თეატრის ორკესტრი, ხორო და ბალეტი ბაუერზაქსის და ვაკარეცის მონაწილეობით.

რეჟისორი **კ. ანდრონიკაშვილი.**

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში

(ნ. 1—1) დასაწყისი 8 ნახ, საათზე.

## სიღნაღის სამაზრო საერობო ხმოსანთა ყრილობის

პრეზიდიუმი ამით აცხადებს, რომ ამა წლის 30 ივნისს (ახ. სტ.) მოწვეულია ქ. **სიღნაღში,** საერობო გამგეობის ბინაზე სამაზრო საერობო

**ხმოსანთა მე-4 ყრილობა**

განსახილველია შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება საერობო გამგეობისა, წარსული წლის მოქმედების შესახებ. 2) 1920 წლის სავარაუდო შემოსავალ-გასავლის ხარჯთ აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება. 3) ლაგოდეხის უბნის მომრიგებელ მოსამართლის არჩევა. 4) თანახმად 2 ივლისის 1919 წლის კანონისა, უძრავ ქონებათა იძულებით ჩამორთმევის შესახებ. 5) საერობო გამგეობის წევრთა, ი. ზ. კრაწაშვილის და ს. დ. ნატროშვილის განცხადებანი თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. 6) მიმდინარე საკითხები. პრეზიდიუმი სთხოვს ყველა ხმოსანს უეჭველად დაესწრნენ ყრილობას.

**პრეზიდიუმი.** (ნ. 5—2)

საქ. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტმა დაამზადა

## ნ. ჟორდანიას ლიტოგრაფიული სურათი

სუფთათ და ხელოვნურათ კარგ ქაღალდზე ზომით 16—13. ყველა მსურველთ, როგორც პარტიულ ორგანიზაციებს, ისე კერძო პირებს და საზოგადო დაწესებულებებს სურათი შეუძლიათ შეიძინონ ხელმისაწდომ ფასებში თფილისის კომიტეტში, ერთობის ქ. № 4.

## ოსების გამოსვლები

საქართველოს ბალშევიზმი ყოველთვის მთიდან ევლინება. ქალაქი და ქალაქის მუშები, როგორც კულტურულათ წინ წაწეული და სახელმწიფოებრივათ მომწიფებული, ადრევე მიხვდენ იმ ამაფორიაქებელი ავანტიურის საშინელებას, რომელიც რუსეთის უსაზღვრო ვაკეში მძვინვარებს.

მხოლოდ ჩამორჩენა და სიველურე, რომელიც ჯერ კიდევ ახასიათებს მთის მცხოვრებთ, ვერ ასცდა იმ ბნელ ძალაების უგუნურ შედეგებს, რომელსაც კომუნიზმის ნიღაბი აუფარებია და პროლეტარებათ, ბურჟუაზიის მესაფლავეთ, პირველ ყოფილ მდგომარეობიდან ახლათ გამოსულ მთის თემები დაუსახავს.

ოსების გამოსვლა საქართველოს წინააღმდეგ—ყოველ კრიტიკულ მომენტში რომელიც კი დასდგომია საქართველოს ამ რევოლიუციური წლების განმავლობაში—ამ მხრივ პირდაპირ დამახასიათებელია.

ოსის მცხოვრებლებმა ყოველივე მიიღეს რევოლიუციიდან, რის მიღებაც შეიძლებოდა, მიწა-წყალი, ტყე-საძოვარი და თავისუფლება, ეს უდიდესი განძი—რომელიც მოგვცა რევოლიუციამ.

მაგრამ მთის ხალხს არ შეუძლია მიხვდეს ამ წყალობას, რომელიც მათ მიანიჭა განახლებულმა ცხოვრებამ. ოსეთის ბრმა და გაუნათლებელი ხალხი, რომელიც დღეს სამწუხაროთ ხელში ჩაუვარდა ნასტრაჟნიკალებს და ყაჩაღებს, რომელთაც მხოლოდ ძარცვა აინტერესებს—ასეთ პროვოკატორულ როლში გვევლინება სისტემატიურად, ომი გვქონდა ბათომის გარშემო ოსმალეთთან—ჯავის ხეობა მსწრაფლ ალიჭურვა ჩვენს წინააღმდეგ და მთიდან ბარს თავს დაეცა. დღეს გაიმართა ომი გაწითლებულ ადერბეიჯანთან—ოსეთის გახუნებული გმირები კვლავ მზათ არიან ზურგიდან მახვილი ჩაგვცენ.

და ყველა ამას მეთაურობენ ის კომუნისტები და ძმანი მათნი, რომელნიც აქ, თფილისში ტკბილი, შემპარავი ენით მოგვითხრობენ კომუნისტურ სამოთხის გაშენებაზე, რომელიც თურმე მათ აქვთ განზრახული.

ჩვენ გვაქვს ცნობები, რომელნიც გვიჩვენებენ, რომ სწორეთ ადგილობრივი კომუნისტებიდან მიუვიდათ ცნობა ამ ოსის ყაჩაღებს და ლოცვა-კურთხევა გამოსვლებისათვის.

საგულისხმიეროა ის ფაქტიც, რომ მათ ეხმარებიან ბანდები გადაღმა ოსეთიდან, ესე იგი რუსეთის სამფლობელოდან, რაც ერთიანათ არღვევს იმ ხელშეკრულებას, რომელსაც ერთი თვის წინეთ მოაწერა ხელი საბჭოთა რუსეთმა.

უნდა ვიფიქროთ ორში ერთი: ან საბჭოთა რუსეთს არ აქვს ჩვეულებათ თავის სიტყვის პირნათლათ ასრულება, ან მისი ადგილობრივი წარმომადგენლება არ გრძნობენ საჭიროებას ცენტრის დადგენილება და ხელშეკრულება განახორციელონ. ჩვენთვის ორივე შემთხვევაში იბადება აუცილებლობა რეალურ ზომების მიღებისა ჩვენი საზღვრების დასაცველად. ხელშეკრულებით მთელ საზღვარზე ნეიტრალიზაციაა გავლებული. ეს ნიშნავს იმას, რომ ამ ნაწილში საბჭოთა რუსეთიდან თავდამსხმელნი არ უნდა მოევლინონ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს ჯარს ხელი ეხსნება მტერს იქ გაუმკლავდეს, სადაც ის მუხანათობას იჩენს.

როკის საზღვარზე ჩვენი ჯარი სათანადო სიშორეზე იდგა საზღვრიდან და ეს გახდა საბაბი მტრის ბრბოებისთვის—თავდასხმის ხალისი გასჩენოდა და შემოტევა დაეწყო. შემდეგში ამის შესაძლებლობას ჩვენ მათ ვერ მივცემთ.

თავისთავად ოსეთის უგუნური გამოსვლა ბოლოს და ბოლოს თვით ჯავის ხეობის გაბრიყვებულ მცხოვრებთ მოუტანს ზარალს. მუხანათს და ორგულს მიეზღვის ის, რაც დაიმსახურა.

მაგრამ დაუსჯელი დარჩებიან ის პირდაპირი მომტყუებელნი, შემაცდენელნი, რომელნიც ამ ხალხს ცეცხლში ჩააგდებს, თვითონ კი საზღვარს გადაირბენენ და საბჭოთა რუსეთის თვალუწვდენელ ზღვაში გადაიკარგებიან.

ადგილობრივი, საქართველოს კომუნისტები, რომელნიც მოსკოვის დირექტივებს ემორჩილებიან, ვალდებულნი არიან ოსეთის ეს უგუნური გამოსვლა დააფასონ და სთქვან მაზე თავის აზრი.

ბ-ნო კომუნისტებო, ბრძანეთ: დარღვევაა თუ არა ჩვენი დამოუკიდებლობის, როცა რუსეთის მხრიდან ესხმიან ჩვენს რესპუბლიკას თქვენი თანამოაზრე საეჭვო ელემენტები? და თუ დარღვევაა, როგორ აფასებთ თქვენს ასეთ მუხანათობას? გაჩუმება—ამ შემთხვევაში—უდრის თქვენს დასტურს და სოლიდარობას თავდამსხმელთადმი. ველით პასუხს.

## საჭირო განმარტება

პრესის ერთ ნაწილს რუსეთთან ხელშეკრულობის ზოგიერთი მუხლიდან გამოჰყავს ისეთი დასკვნა, თითქოს ის ზღუდავდეს ჩვენი რესპუბლიკის უფლებას ემიგრანტების მიმართ.

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ საჭიროთ მიმაჩნია განვაცხადო, რომ ასეთი ახსნა-განმარტება მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. არავითარი **შეზღუდვა ემიგრანტებისთვის არ არსებობს.** ეს საკითხი არც საბჭოთა მთავრობას და მით უმეტეს მე არ აგვიძრავს, რადგან ეს თავის თავათ გამომდინარეობს ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობის ფაქტიდან და იმ დემოკრატიული პრინციპებისაგან, რომელზედაც აშენებულია ჩვენი რესპუბლიკა.

პუნქტები მეშვიდე და მერვე მეხუთე მუხლისა ეხება მხოლოდ იმ ჯგუფებს და ორგანიზაციებს, რომლებიც ცდილობენ გამოიყენონ ჩვენი ქვეყანა ბაზათ რუსეთის საქმეებში ჩასარევათ.

დამფუძნებელი კრების წევრი
**გრ. ურატაძე.**

## კომუნისტის მკითხველებს

II

**ვისი დიქტატურაა?**

„კომუნისტი" გაურბის ჩვენ ფაქტიურ შენიშვნებს. არც ერთ ხელმოსაკიდებელ საკითხს არ აყენებს პირდაპირ. საზოგადო სიტყვიერებით, ზოგადი აზრებით ავსებს თავის ფურცლებს, და ბურუსში ხვევს მკითხველების აზროვნობას.

ბურუსის მეტი არაფერი დაგრჩებათ, მაგალითად, როცა წაიკითხავთ მე-7 ნომერში წერილს დიქტატურის შესახებ. წერილის ავტორი თავს გრძნობს სადღაც უმიწაწყლო სივრცეში, ლეჭავს წიგნიდან ამოკითხულს და სულ არ ეკარება სინამდვილეს. სოციალ-დემოკრატიულ პროგრამაში პროლეტარიატის დიქტატურა აუცილებელ პირობათ იყო გამოცხადებული და ახლა მენშევიკები უარყოფენ ამ პრინციპსო.

დიახ, ჩვენ ვაღიარებდით და ახლაც ვაღიარებთ სოციალისტური რევოლიუციის დროს დიქტატურას **მუშათა კლასისას და არა მუშა-გლეხობისას.** ყო

# დღეს

სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობით 9 ივნისს ზაქათალაში მომხდარა გადატრიალება, ბალშევიკების კომისრები დაპატიმრებულია. შეადგინეს ადგილობრივი მთავრობა. მცხოვრებლებმა საქართველოს მთავრობას მიმართეს, რომ მან ზაქათალი დაიკავოს.

## გენერალური შტაბი'ს ცნობა.

**ივნისი'ს 10.**

აგარაკ ბახმაროს სამხრეთ-აღმოსავლეთით ზოტი-ყელის რაიონში აჭარელების ბანდა ჩვენს საზღვრებში შემოიჭრა, ჩვენმა მოსაზღვრე რაზმმა ბანდას შეუტია და გაფანტა. მოწინააღმდეგეს მოვუკალით 6 კაცი, ტყვეთ წამოვიყვანეთ 27. ჩვენ მოგვიკლეს 1 კაცი და ერთიც დაგვიჭრეს, რომელიც გარდაიცვალა.

ცხინვალის მიმართულებით სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

დამატებითი მიღებული ცნობებით ოსების ბანდები ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას ართმევს სურსათ-სანოვაგეს, ყაჩაღობას და უწესოებას ჩადის:

---

ველთვის ვამბობდით, რომ მუშის და გლეხის თანამშრომლობა შეიძლება მხოლოდ დემოკრატიულ რევოლიუციაში და არა სოციალიზმის შენებაში. სოციალიზმი შეეფერება პროლეტარიატის ინტერესებს; გლეხობის მისწრაფება კი ეწინააღმდეგება სოციალიზმს.

ჩვენ გვწამს ის დიქტატურა, რომელიც სოციალ-დემოკრატიულ პროგრამაში იყო და არის აღნიშნული. ჩვენ ძირიანათ უარვყოფთ და ვებრძვით იმ დიქტატურას, რომელიც გაატარეს ბალშევიკებმა ოქტომბრის რევოლიუციაში.

ბალშევიკების საქმე ეწინააღმდეგება სოციალიზმს, ეწინააღმდეგება თითონ ბალშევიკების წინანდელ შეხედულებასაც. ოქტომბრის პირველ დღეებში ისინი ამბობდენ,—საბჭოთა მთავრობა ნიშნავს ერთათ გაბატონებას ყველა იმ პარტიებისას, რომლებიც წარმოდგენილი არიან მუშა-გლეხთა დეპუტატების საბჭოებშიო. საბჭოებში იყვენ იმ დროს სახალხო სოციალისტები (народные социалисты) სოციალისტ-რევოლიუციონერები, მენშევიკები და ბალშევიკები. მუშა-გლეხობის მეფობა მაშინ თითონ ლენინელებს წარმოდგენილი ჰქონდათ, როგორც ყველა ამ პარტიებ ს ხელში გადასული ძალა-უფლება.

ეს პრინციპი ქაღალდზე ეწერათ. სინამდვილეში თითონ დახიეს ეს ქაღალდი. გამოაცხადეს, რომ თანამშრომლობა ნიშნავს ბალშევიკების ხელქვეითობასო. —სიამოვნებით გავინაწილებ თქვენთან პოლიტიკურ მეფობას, თუ ყველაფერში ჩვენ პარტიას დაემორჩილებითო,—ასე უთხრეს ბალშევიკებმა დანარჩენ დემოკრატიულ პარტიებს.

მაშინვე გამოჩნდა, რომ მშრომელი ხალხის ადგილას უნდა გამეფებულიყო მარტო ერთი პარტია, დიქტატურა უნდა გადასულიყო მარტო ბალშევიკების ხელში. რა თქმა უნდა, არავინ არ დასთანხმდა. ბალშევიკებმა ამის შემდეგ თანდათან გადღენეს საბჭოებიდან ყველა თავისი მოპირდაპირეები. არც ერთ პარტიას არ აძლევდენ არსებობის ნებას, არავითარ ძალმომრეობას არ ერიდებოდენ ამ ნიადაგზე. თუ საშინლათ შევიწროებულ არჩევნებში მაინც გაიმარჯვებდენ ხოლმე ხანდახან [illegible]-დემოკრატები, თუ საბჭოებში ამათ ერგებოდათ ხოლმე უმრავლესობა, მაშინ ბალშევიკები ხიშტებს ხმარობდენ ამისთანა საბჭოების თავიდან მოსაშორებლათ.

ჩვენ ვებრძოდით ამ დიქტატურას. ეს იყო თვითმპყრობელობა ერთი ჯგუფის და არა მუშა-გლეხობის. მიგვითითოს „კომუნისტმა“ ამ ჩვენი აზრის დამარღვეველ ფაქტებზე.

საბჭოთა მთავრობა დიდი ხანია მოისპო რუსეთში. მისი ადგილი დაიჭირა პარტიულმა მთავრობამ. მაგრამ ბოლოს თითონ ბალშევიკურმა პარტიამაც დაჰკარგა გავლენა თავის მთავრობაზე. ზემოთ მოქცეული მმართველი პირები განაგებდენ რუსეთის ბედ-იღბალს თავისით, დამოუკიდებლათ, არც თავის პარტიის წინაშე გრძნობდენ პასუხის მგებლობას. მმართველები ფაქტიურათ გადაიქცენ ბიუროკრატებათ. მათი ნაკეთები ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა ბალშევიკური პარტიის პრინციპებს. პარტია კი მერე ყოველთვის ეთანხმებოდა მთავრობას, იწონებდა მის ყოველდღიურ საქმიანობას. ამით ის უარყოფდა თავის თავს, თავის წარსულს და აწმყოს. ეს ამტკიცებდა მის სისუსტეს, დავრდომას.

„კომუნისტის“ ბალშევიკებმა, იქნება, არ იციან საბჭოთა რუსეთის ორი წლის ისტორია. ახლა, როცა ასე თუ ისე გზები გაიხსნა, როცა იქაურ გაზეთებს ვკითხულობთ, შეეძლოთ გაეგოთ, ვისი დიქტატურა იქ გატარებული, **არჩეულების თუ დანიშნულების** ხელშია მართვა-გამგეობა მთელი იმ ქვეყნის სივრცეზე? ჩვენ მოვითხოვთ პასუხს ამ კითხვაზე. „კომუნისტი“ სიტყვას ბანზე ნუ ისვრის, მკიბ-მოკიბული წერილებით ნუ უმასპინძლდება თავის მკითხველებს.

ბალშევიკების დიქტატურა რომ უმრავლესობის ნებაზე იყოს აშენებული, ბალშევიკებს არ დასჭირდებოდათ „წითელი ზომები“ ამ უმრავლესობის წინააღმდეგ. დაასახელოს „კომუნისტმა“ ის ქვეყანა და ისეთი დრო, სადაც და როდესაც ასე იყო გათელილი პოლიტიკური თავისუფლება, მოქალაქეობრივი უფლება, როგორც გათელილია ეს „საბჭოთა რუსეთში.

ჩვენ უარვყოფთ ამ დიქტატურას ნამდვილი სოციალ-დემოკრატიული და მარქსისტული დიქტატურის გულისთვის.

თუ „კომუნისტს“ მართლა იდეური ბრძოლა უნდა, თუ ცდილობს დღევანდელი კითხვების გამორკვევას, ის ვერ გაექცევა ჩვენ მოთხოვნას, ჩვენ ფაქტებს. თუ კი თავის გაზეთს და ლეგალურ მუშაობას ადგილობრივი ბალშევიკები უყურებენ ისე, როგორც მეორე რიგის საქმეს, როგორც საშუალებას სხვა უფრო „დიდი“ საქმისას, მაშინ გვეცოდინება, რომ „კომუნისტის“ გამოსვლის მიუხედავათ ჩვენ ღია ასპარეზზე ვერ ვხედავთ იდეურ მოწინააღმდეგეს.

**ს. დევდარიანი.**

# პრესა

„კომუნისტი“, მიუხედავათ ამ საქმის უიმედობისა, მაინც ცდილობს ახლო წარსული ისტორიის ფაქტები გადაამახინჯოს, შავი თეთრად მოგვაჩვენოს და დაამტკიცოს, რომ საქართველოს მთავრობის რეპრესიები წინ უძღვოდა იმ შეიარაღებულს აჯანყებებს, რომლებსაც ბალშევიკები აწყობდენ ჩვენს რესპუბლიკაში. ჩვენ მოვაგონეთ მათ, რომ შეიარაღებული აჯანყება, ბალშევიკებმა ჯერ კიდევ მაშინ მოაწყვეს სამეგრელოში, როდესაც მათი წარმომადგენლები ქალაქის საბჭოში ხმოსნებათ ისხდენ და როდესაც ჩვენს რესპუბლიკაზე ოსმალთა ჯარი მოდიოდა. დუშეთის შეიარაღებულ აჯანყებამდის საქართველოს მათი პარტიის წინააღმდეგ არავითარი ზომები არ მიუღია. ამაზე შემდეგს გვიპასუხებს ბ. ცხაკაია:

„საჯაროთ გიცხადებთ, პატივცემულნო მოქალაქენო, რომ არც მაშინ, სამეგრელო-ლეჩხუმის და არც შემდეგ, დუშეთ-საჩხერის გამოსვლები ადგილობრივი კომუნისტების კოლექტივის მოწყობილი არ იყო. ისინი იყვნენ საერთო სტიქიური მოძრაობა მასსებისა, რომლებმაც, შეიძლება, ჩვენზე (ე. წ. მეთაურებზე) უკეთ იგრძნეს თქვენი პოლიტიკის მარჯვნით გადატეხა“.

ჩვენ მოხარულნი ვიქნებოდით, რომ ბალშევიკები იდეურათ გამიჯნულიყვნენ დუშეთის მეამბოხეთაგან,—რომ მათ ეთქვათ, ჩვენ ამ აჯანყებას არ თანაუგრძნობთო. თორემ ეხლა რა გამოდის? დუშეთის ამბოხებამ მხოლოდ იმიტომ მიიღო ფართო ხასიათი, რომ დუშეთის მაზრაში ჩრდილოეთიდან შემოიჭრენ შეიარაღებული ნაყაჩაღარები, რომლებმაც ბალშევიკები დაირქვეს. ამ შემოჭრილებს მეთაურობდენ ჩვენებური ბალშევიკების ლიდერები, ზოგიერთი მათგანი ისე „გმირულად“ იბრძოდენ საქართველოს გვარდიელ-მუშებთან, რომ საპატიო ჭრილობასაც კი ღებულობს და ამის შემდეგ კიდევ ბედავთ და აცხადებთ, ეს აჯანყება ჩვენი მოწყობილი არ იყოო? სხვას რომ ჩაედინა ასეთი იეზუიტობა, არ გაგვიკვირდებოდა, მაგრამ როცა ამას სჩადის მოხუცი მიხა ცხაკაია, ეს კი მეტათ საწყენია.

მაგრამ ეს იეზუიტობა ბ-ნ ცხაკაიას არ ეხერხება. მის ყოველ წერილში აუცილებლად სადმე მაინც სიმართლე იჩენს თავს, თუნდაც ამ სიმართლის თქმა კომუნისტებისათვის მომაკვდინებელი იყოს. აი როგორ გვიამბობს ბ-ნი ცხაკაია ბალშევიკების წინააღმდეგ მიღებულ ზომებზე: ევროპის იმპერიალისტების კარნახით, გვამხილებს ბ-ნი ცხაკაია, თქვენ

„რეპრესიები გააძლიერეთ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ციხეები ათასზე მეტი ჩვენი თანამოაზრეებით გაავსეთ... და გეგონათ, ბოლოს მოგვიღებდით... მარა **დარჩენილებმა კიდევ ციხის გა'ეთ აასრულეს თავის რევოლიუციონურ-პოლიტიკური მოვალეობა** და შევებრძოლენ ისე, როგორც შეეძლოთ“.

მკითხველს ვთხოვთ ყურადღება მიაქციოს ხაზგასმულ სიტყვებს. აქამდის კომუნისტები ლაპარაკობდენ, ის გამოსვლები, რომელიც კერძო ჯგუფებმა მოახდინეს სამი-ოთხი თვის წინათ სხვადასხვა ადგილას, და ის თავდასხმა, რომელიც მათ პირველ მაისობას მოაწყეს სამხედრო სასწავლებელზე, კომუნისტურ პარტიის საქმე არ არისო. დღეს ბ-ნი ცხაკაია ამ გამოსვლებს უწოდებს ციხის გარეთ დარჩენილ კომუნისტების მიერ „თავის რევოლიუციონურ-პოლიტიკურ მოვალეობის შესრულებას“. დაიხსომეთ ეს სიტყვები უეშმაკო მოხუცისა და მისი ნათქვამი მოვიგონოთ იმ დროს, როდესაც მისი უფრო ეშმაკი ამხანაგები რწმუნებას დაიწყებენ, აღნიშნულ ფაქტებთან ჩვენ არავითარი იდეური კავშირი არა გვაქვსო.

# საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

**კერძო ვაჭრობა.** იმ პირებმა, რომელთაც სურთ აწარმოვონ კერძო ვაჭრობა ნორმის გარეშე დატოვებულ საქვებ საგნებით, სათანადო მოწმობების მისაღებათ უნდა მიმართონ თხოვნით მოსკოვის მომხმარებელთა საზ-ებას. („იზვესტია“ № 94.)

**რკინის გზის მდგომარეობა საბჭოთა რუსეთში.** ჟურნალ „რკინის გზელის წითელ გზა-ში“, რომელსაც მოსკოვში სცემს გზათა მიმოსვლის კომისარიატი, მოთავსებულია ზოგიერთი ცნობები რუსეთის რკინის გზების შესახებ, ტრანსპორტის აღდგენას, სხვათა შორის, ძალიან უშლის ხელს ის გარემოება, რომ მრავალი ხიდი დანგრეულია. გზათა კომისარიატი შეუდგა მათ აღდგენას, მაგრამ რკინის უკიდურეს სიმცირის გამო ხის დროებით ხასიათის ხიდების აგება დაიწყეს. ხის ხიდების პროექტების განხილვას გზათა კომისარიატის საამშენებლო ნაწილის რამდენიმე სხდომა მოანდომეს. უკანასკნელ სხდომაზე, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა 10-მდე პროფესორი, მოწონებულ იქნა პროფ. პროკოფიევის პროექტები. რადგანაც ხე-ტყეც, შედარებით, ნაკლებად მოიპოვება, გადაწყვეტილია ასეთი ხიდები აიგოს მხოლოდ ფრონტის მახლობელ ადგილებში. საბჭოთა რუსეთის რკინის გზები დიდ გაჭირვებას განიცდიან ლიანდაგის უკიდურეს სიმცირის მხრითაც. გზათა კომისარიატს დასჭირდა 77 ვერსტის სიგრძის ლიანდაგი იმ გზის შესაკეთებლათ, რომლითაც სათბობი მასალა უნდა მიეზიდნათ მოსკოვში. ხსენებულმა კომისარიატმა გადასწყვიტა მოსკოვ-ყაზანის რკინის გზაზე აეყაროს 46 ვერსტის სიგრძის ლიანდაგი. რაც შეეხება დანარჩენ 31 ვერსტს, გზათა კომისარიატი დიდ საგონებელში ჩავარდა, რადგან სხვა მიმართულების რკინის გზებზე შეუძლებელი აღმოჩნდა ლიანდაგის აყრა ასე, რომ შეუძლებელი არ გამხდარიყო მოძრაობა ფრონტის საჭიროებისათვის.

**ინჟენერ-სპეციალისტები.** პეტროგრადის საგზაო საინჟენერო ინსტიტუტში 1 მაისიდან იწყება გაძლიერებული მეცადინეობა ინჟენერ-სპეციალისტების საჩქაროთ გამოსაშვებათ. ყველა მე 4, 5 და მე 3 კურსის იმ სტუდენტებს, რომლებთაც მცირე გამოცდები ჩაბარებული აქვთ საერთო თეორეტიულ საგნებში, იწვევენ შესაფერი თხოვნები შეიტანონ საგანგებო კომისიაში, რომელსაც მინდობილი აქვს გზათა ინჟენერების საჩქაროდ გამოშვების საქმე. მეცადინეობებზე დაშვებული სტუდენტები, ყოველ გამონაკლისის გარეშე თავისუფლდებიან ყოველგვარ დაწესებულებაში და წითელ არმიაში სამსახურისგან და ნება აქვთ მატარებლით იმგზავრონ რიგს გარეშე საბჭოთა მუშაკებთან ერთად. გაძლიერებულ მეცადინეობის დამწყები სტუდენტები მიიღებენ იმდენ სურსათს, რამდენსაც სამხედრო სასწავლებლებში ღებულობენ და სოციალურ უზრუნველყოფას 7,200 მან. თვეში და ჩაითვლებიან სავალდებულო შრომის ბეგარაზე გაწვეულებათ. („იზვესტია“ № 94).

---

იმის დასასურათებლათ, თუ როგორი იყო საბჭოთა ჯარების მდგომარეობა კიევთან, ზედმეტი არ იქნება მოვიყვანოთ „პრავდის“ მე 98 ნომრიდან (8 მაისის) ვ. ბოროდულინის მიმოხილვა:

**კიევთან.** „თავიანთ თავდასხმის განახლების დღიდან 11 დღის შემდეგ პოლონელებმა კიევს მიაღწიეს. საერთოდ კიევის მიმართულებით მათ გაიარეს 160-მდე ვერსტი, მაშასადამე, ისინი დღეში გადიოდენ დაახლოვებით 14 ვერსტს. რათა ნათლად წარმოვიდგინოთ ჩვენი უკან დახევის სურათი, მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი: მტრის ჯარი რიცხვით 3—4-ჯერ მეტი იყო ჩვენსაზე. ფრონტის მთელი ხაზის დაკავება ჩვენ არ შეგვეძლო და ჩვენ მოწამენი ვიყავით ფრონტის რამოდენიმე ალაგას გარღვევისა. ამ „ცარიელ“ ალაგებში თავისუფლათ გადიოდენ მტრის ჯარები, ზურგში ექცეოდენ ან ირგვლივ შემოერტყმოდენ ჩვენს ნაწილებს; ეს გარემოება იძულებულს ხდიდა ჩვენს ჯარს უკან დაეხია და ძნელი საარიერგარდო ბრძოლა ეწარმოებია მტრის წინააღმდეგ. თუ ამას ანგარიშს გავუწევთ,—უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი მცირე ჯარის სიმტკიცე და მისი წესიერი დახევა საშუალებას არ აძლევდა მტერს უფრო ჩქარა დაემარცხებია ჩვენები. აღნიშნულ ძალთა განწყობილებაში ჩვენ უფრო ადრეც მოველოდით კიევის დაცემას. ამ ჟამად პოლონელების თავდასხმის პირველი პერიოდი დასრულებულათ შეგვიძლია ჩავთვალოთ. დნეპრის მარცხენა ნაპირზედ პოლონელები ვერ გადავლენ: ერთი იმიტომ, რომ მდ. დნეპრი ბუნებრივი სიმაგრეა მათ წინააღმდეგ და მეორეც—მათ (პოლონელებმა) უნდა გაამაგრონ თავიანთი ზურგი. ტერიტორიის დაჭერა კიდევ ადვილი საქმეა, მაგრამ უფრო ძნელია მისი შენარჩუნება; მდ. დნეპრის მარჯვენა ნაპირის უკრაინა უკვე პარტიზანულ ბრძოლას იწყებს დაუპატიჟებელ სტუმრების წინააღმდეგ. ამიტომ ახლო მომავალში პოლონელების თავდასხმას დნეპრის აღმოსავლეთით არ უნდა ველოდეთ. მაგრამ, როგორც სჩანს, პოლონეთის სარდლობა მიისწრაფის მარჯვენა ნაპირის უკრაინის სამხრეთ ნაწილის დაკავებისაკენ. ამ ჟამათ ბრძოლა ქ. ტრაშჩაპის რაიონში სწარმოებს (80 ვერსი კიევის სამხრეთით). მაგრამ აქ პოლონელებმა გამარჯვების იმედი არ უნდა იქონიონ, ვინაიდან ეკატერინოსლავშჩინასა და ხერსონშჩინას დასაპყრობათ საჭიროა სათანადო მომზადება. უამპიროდ მათი ოპერაციები დამარცხებით დათავდება. შესაძლებელია, მათ დახმარების იმედი ჰქონდეთ რუმინიის მხრივ. ამ შემთხვევაში ჩვენ მზათ უნდა ვიყოთ, რათა შესაფერი პასუხი გავცეთ ჩვენი დასავლეთ მეზობლების თავდასხმებს.

**საგანგებო სასანიტარო საამშენებლო კომიტეტი,** რომელსაც „სოვნარკომ“-ისგან საგანგებო უფლებები აქვს მინიჭებული მოსკოვის აღდგენის და მისი სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ყოველგვარ მუშაობის გაერთიანების საქმეში, წინადადებას აძლევს ყველა სახლის კომიტეტებს, 3 დღის განმავლობაში, დღიდან ამ ბრძანების გამოქვეყნებისა, ხსენებულ კომიტეტის სარაიონო განყოფილებებში წარადგინონ დაწვრილებითი ცნობები, ყოველგვარ საამშენებლო მასალების რაოდენობის შესახებ, რომელიც მათ შენობებში მოიპოვება. ცნობები უნდა ეხებოდეს: აგურს, აგურის ნამტვრევებს, ცემენტს, ალებასტრს, რკინას, ლურსმებს, შუშას, ფიცრებს, ხის ძელებს, ელექტრონის ბატარეებს და არმატურას, სანიტარულ-ტეხნიკურ მოწყობილებას, ყავარს, საღებავებს და სხვა და სხვა. წარდგენილ ცნობებში აღნიშნული უნდა იყოს აგრეთვე ამ მასალების პატრონის ვინაობა. სარაიონო განყოფილებებმა სასტიკათ უნდა ადევნონ თვალყური ამ ბრძანების შესრულებას და დახმარებისთვის მიმართონ სარაიონო კომისარიატებს. შეკრებილი ცნობები სარაიონო განყოფილებებმა ამ ბრძანების გამოქვეყნების დღიდან ერთი კვირის განმავლობაში უნდა გადასცენ საგანგებო სასანიტარო-საამშენებლო კომიტეტს. ამ ბრძანების დამრღვევნი უსასტიკესათ დაისჯებიან რევოლიუციონურ დროის კანონების ძალით. („იზვესტია“ № 94).

**ერმოლოვას ქალის იუბილე.** მოსკოვის „იზვესტია“-ს № 94-ში მოყვანილია რუსეთის გამოჩენილ ტრაგიკოს მსახიობ ქალის მ. ნ. ერმოლოვას 50 წლის იუბილეს ამბავი. დილით სვერდლოვის მოედანზე მ. ერმოლოვას ბინის წინ დროშებით თავმოყრილმა მოსკოვის მსახიობებმა მას უგალობეს „დიდება“. „მცირე თეატრში“ იუბილიარს მთელი დასი შეეგება. თეატრის ფოიეში გამოფენილი იყო აფიშები, სურათები და კოსტიუმები იმ პიესებისა, რომელშიაც მ. ერმოლოვას უთამაშნია. იუბილეს გაზეთი ასე სწერს: „დღესასწაული დაიწყეს პროფეს. საკულინის საკმაოთ მოსაწყენი სიტყვით. შემდეგ ილაპარაკა მ. ერმოლოვას მუდმივმა თანამშრომელმა ამხ. ა. იუჟინმა, რომელმაც დაახასიათა იუბილიარის ნიჭი, აღნიშნა მისი დიდი ღვაწლი და აღფრთოვანა მაყურებლები მ. ერმოლოვას შესახვედრათ. სუსტი შთაბეჭდილები დასტოვა ბალმონტის ლექსებმა. შემდეგ იუბილიარის მონაწილეობით დაიდგა „ვაი ჭკუისაგან“-ის მე-3-ე აქტი და „მარია სტიუარტ“-ის ერთი მოქმ. მ. ერმოლოვას მაყურებლებმა დიდი ოვაციები გაუმართეს. წარმოდგენის შემდეგ კი ნამდვილი ზეიმი გადაუხადეს მას. საბჭოთა მთავრობის სახელით მიესალმა ამხ. შმიდტი, რომელმაც წაუკითხა ფრონტზე წასულ ამხ. ლუნაჩარსკის წერილი და განუცხადა, რომ მ. ერმოლოვა დაჯილდოებულია მაღალ სახელწოდებით „სახალხო მსახიობისა“. ამხ. ავსიანიკოვმა განუცხადა მოსკოვის საბჭოს სახელით, რომ პრეზიდიუმმა გადასწყვიტა, ნება მიეცეს მ. ერმოლოვას სიკვდილამდე უფასოთ ისარგებლოს იმ სახლით, სადაც ის ეხლა სცხოვრობს. „მცირე თეატრის“ დასის სახელით იუბილიარს მიესალმა ამხ. პრავდინი, რომელმაც თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: გაუმარჯოს ამხ. ერმოლოვას!!! იუბილე შუაღამემდე გაგრძელდა.

**დეკრეტი წიგნებისა და სხვა ბეჭვდითი ნაწარმოების ნაციონალიზაციის შესახებ.** 1) ყველა წიგნები და ბეჭვდითი ნაწარმოები (გარდა ბიბლიოთეკებისა) როგორც კერძო პირების, ისე საზოგადო და კოოპერატიულ ორგანიზაციებისა,—ცხადდება სახელმწიფო საკუთრებათ; 2) დეკრეტის ცხოვრებაში გატარება ევალება: ცენტრში სახალხო განათლების კომისარიატს, ხოლო ადგილობრივათ საგანგებოთ შედგენილ სათანადო კომისიას; 3) ვინც დეკრეტის მოთხოვნილებას არ დაემორჩილება, ის გადაეცემა სასამართლოს.

**ხელოსანი მუშები.** ხელოსან მუშათა სიმცირემ საბჭოთა რკინის გზებზე უალრეს წერტილს მიაღწია. 1918 წელს გამოცემული იყო დეკრეტი, რომლის ძალითაც ერთ და იმავე დაწესებულებაში აღკრძალული იყო ორი მონათესავე პირის სამსახური. მიმდინარე წლის დასაწყისში კი გზათა მიმოსვლის კომისარიატი იძულებული გახდა სპეციალისტ მუშების სიმცირის გამო შუამდგომლობა აღეძრა, რომ ხსენებული დეკრეტი გაეუქმებიათ რკინის გზელებისთვის.

# „წითელ“ აზერბეიჯანში

(გაზეთებიდან).

**განჯის ამბების გარშემო.** განჯის სადგურს ჩვენ მივუახლოვდით 30 მაისს დილით. ქალაქიდან დიდი სროლის ხმა ისმოდა. სადგურთან ომის ნამდვილი სურათი გადაგვეშლებოდა თვალწინ: მიდიოდენ წითელ არმიელები „ცეპით“, უფროსები იძლეოდენ განკარგულებას, აქა-იქ შეხვდებოდით მოკლულებსა და დაჭრილებს. აჯანყებულ მუსულმანებს ყუმბარების განსაზღვრული რიცხვი ჰქონდათ, ამიტომ ისინი დიდის სიფრთხილით ისროდენ. 30 მაისს დილით ისინი სადგურს ესროდენ. რამდენიმე ყუმბარა მოხვდა სახურავს, მაგრამ დიდი ზიანი არ მიუყენებია. ვიღაც წითელ-არმიელი ხელმძღვანელი აფრთხილებს ბაქანზე მყოფ ხალხს: „თავს უშველეთო“! ბაქანი საჩქაროდ დაიცალა; ამიტომ იქ ჩამოვარდნილ ყუმბარებს ადამიანის მსხვერპლი არ მოჰყოლია. როგორც გამოირკვა, მუსულმანებმა გაისროლეს თავიანთი უკანასკნელი ხუთი ყუმბარა. ამიტომ აჯანყებულების ზარბაზნები ჩაჩუმდა და საღამოს 5—6 საათზე აჯანყებაც საბოლოოთ იქნა ჩაქრობილი. წითელ არმიელებმა გარეკეს აჯანყებულები და დაიკავეს მთელი ქალაქი. თუ რა ხდებოდა ქალაქში წინა დღეებში (26—30 მაისი),— ამის შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს.

**წითელ არმიელები და ასკერები.** წითელ არმიელთა განჯაში მოსვლის პირველ დღეებიდანვე თავი იჩინა განხეთქილებამ მათსა და ასკერებს შორის. ასკერები, სხვათა შორის, ამით იყვნენ უკმაყოფილონი, რომ იტალიიდან მოტანილი ტანისამოსი, რომელსაც ძველი მთავრობა ბაქოს საწყობებში ინახავდა, ხელში ჩაუვარდათ წითელ არმიელებს. განჯის აჯანყებამ, რომლის პირველი გამარჯვებაც მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ასკერებმა უღალატეს საბჭოთა მთავრობას, — ძირიანათ შესცვალა საბჭოთა მთავრობის დამოკიდებულება ასკერებისადმი: თუ დღემდე იგი მათ არა კეთილ საიმედოთ სთვლიდა, დღეიდან ისინი მოღალატეებათ იქნენ გამოცხადებულნი. განზრახული იყო ყველა ასკერები, გარდა განჯის ასკერებისა, ჩაერიცხათ საბჭოთა ჯარებში.

**პური.** ბაქოში საბჭოთა მთავრობის შემოსვლის პირველ დღიდანვე პურის ფასმა საშინლათ იმატა: მაგ. ერთი კვირის განმავლობაში (26 მაისი—3 ივნისი) პურის ფასი 35-დან 90 მანეთამდე ავიდა. პურის შოვნა არ შეიძლებოდა; საცხობებთან უშველებელ რიგებს შეხვდებოდით. პურის სიძვირეს იმით ხსნიდენ, რომ პური გადამალეს; ფქვილს მალავდენ არა მარტო ვაჭარ-სპეკულიანტები,—ბევრი მუშებიც. ბაზარზე მოისპო სხვა საქონელიც: შაქარი, საპნი, მონპასე და სხვ.

**„წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია“.** ამ სათაურით ბაქოს „კომუნისტ“-ში მოთავსებულია შენიშვნა იმის შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობამ ბრძოლა გამოუცხადა „ჩლუნგ გონების პატრონ მოლლებს, უვიც ჩალმოსნებსა და სხვა კონტრ-რევოლიუციონერებს იმისთვის, რომ ისინი წინააღუდგენ ლათინურ ალფავიტის შემოღებას თურქულის გვერდით და არ ესმით ამ საშუალების უპირატესობა მუსულმანობის განვითარების მიზნით... ადერბეიჯანი პირველი არ არის მუსულმანურ ქვეყნებიდან, რომლებმაც ლათინური ანბანი შემოიღეს,—ნათქვამია შენიშვნაში, მაგ. ალბანია დიდი ხანია სარგებლობს კულტურისა და პროგრესის ამ სიკეთით. წმინდა ყურანიც კი ლათინურ ანბანით არის დაწერილიო, ამბობს „კომუნისტი“.

# ბალშევიკების მუშაობა ჩვენში

საქართველოს დეპეშათა სააგენტო დღეს შემდეგ ცნობას აქვეყნებს:

„6 ივნისს სად. ნატანებში თფილისიდან ბათომში მიმავალ სოფია პრესმანს აღმოაჩნდა 15 გირვანქა არა ლეგალური ფურცლები, გამოცემული ბათომის კომუნისტე'ის პარტიის სახელით.

„პრესმანის განცხადებით ფურცლები დაბეჭდილია თფილისში და მიიღო მან ადგილობრივ გაზეთ „კომუნისტის“ სტამბიდან. პრესმანმა კატეგორიულად უარი განაცხადა დაესახელებია ის პირი, ვისგანაც მიიღო ფურცლები, ან ვისთან მიჰქონდა იგი და თანაც დასძინა, რომ ამის შეტყობა შეიძლება თფილისში ცენტრალურ კომიტეტშიო.

„პროკლამაციის ერთ ნაწილში მოწოდებაა საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ. საქართველოს სურვილი ბათომის შეერთების შესახებ იმპერიალისტურ ყაჩაღურ ნაბიჯათ არის დასახული და ურჩევენ ქართველ მუშებს და გლეხებს ხელი გაუწოდონ საბჭოთა რუსეთს და დაამხონ შინაური და გარეშე იმპერიალიზმი. მეორე ფურცელი მიმართულია ინგლისელების წინააღმდეგ“.

---

ეს ნიშნავს, რომ ლეგალურ მუშაობასთან ერთად, რომელსაც **საქართველოს** კომუნისტური პარტიის სახელით აწარმოებენ ჩვენებური ბალშევიკები, სწარ[illegible] **რუსეთის** კომუნისტური პარტიის ფირმით.

ჩვენ ხელთ არის დაჭერილი ფურცლის ერთი ცალი. სწორად რომ ვსთქვათ, ეს ორი პროკლამაციაა ერთ ფურცელ ქაღალდზე რუსულად დაბეჭდილი. თავზე აწერია: „რუსეთის კომუნისტური პარტია (ბალშევიკებისა)“. ხელს აწერს „ბათომის კომიტეტი რ. კ. პ.“ ასე რომ, თფილისში ფაბრიკულად დამზადებული პროკლამაციები ბათომში უნდა დაებრათ—დაენაწილებიათ.

პირველ ფურცელში ბატონნი ბალშევიკები სწერენ, „რომ რუსეთ-ოსმალეთის იმპერიალისტური ყაყანის გარშემო საქართველოს მმართველნი თავიანთ იმპერიალისტურ საქმეებს აჭახრაკებდენ, გზავნიდენ მობილიზაციით გაყვანილ მუშებსა დ გლეხებს, რომ „იარაღით“ შეერთებიათ ბათუმის ოლქი თავის „დიდ-საქართველოსთვის“ მის მცხოვრებთა ნება-სურვილის წინააღმდეგ“.

შემდეგ ურჩევენ „ამხანაგებს“ გაუწოდონ ხელი საბჭოთა რუსეთს და მოწოდებას ასე ათავებენ: „გაუმარჯოს საბჭოთა ძალა-უფლებას ამიერ-კავკასიაში“.

მეორე პროკლამაცია ინგლისელების წინააღმდეგაა მიმართული, სადაც სწერენ აგრეთვე „ქართველი მენშევიკების შტრეიკბეხერობაზე, რის გამო ბათომის გაფიცვის კომიტეტს დაუდგენია გაფიცვის მოხსნა“.

ჩვენთვის ცნობილია ბალშევიკების აზრები და წერის სტილი. ამ მხრით მათ ნაცოდვილარში ახალი არაფერია.

ახალი მხოლოდ ის არის, რომ ადგილობრივი ბალშევიკები დარჩნენ ისევ ის ბალშევიკები, ისევ იმ ტიპის მოღალატენი ჩვენი ხალხის და საერთოდ ჩვენი რესპუბლიკის, როგორიც იყვნენ ისინი საბჭოთა რუსეთთან ზავის შეკვრამდე. შეიძლება ეს იყოს ახალი ამბავი ზოგიერთებისთვის, თუმცა ჩვენი ხალხის დიდი უმრავლესობა ბალშევიკებზე ამბობდა და ამბობს, რომ—„კუზიანს მხოლოდ საფლავი გაასწორებსო“.

ვინ არის სოფია პრესმანი?

ის თფილისის მცხოვრებია. აქტიურ მონაწილეობას იღებდა ადგილობრივ ბალშევიკების ორგანიზაციაში. ერთი წელი ხარკოვში ცხოვრობდა, საიდანაც თფილისში დაბრუნდა გასული წლის შემოდგომაზე, სწორედ იმ აჯანყების წინა ხანებში, რომელიც გასულ წელს სხვადასხვა ალაგას ჩვენში მოაწყვეს ბალშევიკებმა.

მთავრობა შეუდგა პრესმანის ქალის ჩვენების შემოწმებას...

გუშინ, 10 ივნისს მიაკითხა „კომუნისტის“ სტამბას და რედაქციას. იქ აღმოჩნდნენ: ფილიპე მახარაძე, რაჟდენ კალაძე, თენგიზ ჟღენტი, მალაქია ტოროშელიძე, სილიბისტრო თოდრია, სერაპიონ ლომიძე, ვანო ბოლქვაძე და სევასტი თალაკვაძე.

გამოსარკვევია: ვინ გადასცა სოფია პრესმანს საქართველოს რესპუბლიკის საწინააღმდეგო პროკლამაცია და რატომ მუშაობენ ბატონნი ბალშევიკები „ბნელში“?!:

**X.**

---

ჩვენმა რედაქციამ შემდეგი წერილი მიიღო:

„28 მაისს გიახელით თფილისში ნებართვისათვის კავკავის გზით როსტოვში წასასვლელათ ჩემს პირად საქმეებზედ და არა ჩემი პარტიის ან სხვისი დავალებით.

მე გაზეთებიდან გაგებული მქონდა, რომ ხელშეკრულობის ძალით საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ქვეშევრდომს ყველას შეეძლო რუსეთის საზღვრებში თავისუფლად შესვლა, თუ სათანადო ნებართვა ექნებოდა.

მეც მივმართე ამისთვის თფილისში არსებულ რუსთა ნაციონალურ საბჭოს, სადა მითხრეს: ხვალ მობრძანდით და მიიღებთო. იქვე გვერდით მესამე ოთახის კარებზედ წარწერა იყო: „პარტია კომუნისტოვ გრუზიი“. მე დავინტერესდი იმ დიდი მოძრაობით, რომელიც იქ სწარმოებდა. შევამჩნიე, რომ იქ იყვნენ გორის მაზრაში ცნობილი ბალშევიკურ-კომუნისტური პარტიის მოღვაწენი: ბატონი შოთი, იოსებ მუნტიკოვი, ქებაძე და ძმანი მათნი, რომელთა მოღვაწეობიდან გორის საზოგადოებამ და მთელმა მაზრამ ნგრევის, ბოროტების და შხამის მეტი არაფერი იცის.

მოიგონონ მეთხე ათასეულის გამოსვლა გორში, მთვრალ ჯარისკაცებს რომ გვისევდნენ...

ახსოვთ ამ ვაჟბატონებს როგორ მედგრათ ვიდექით ჩვენ დემოკრატიულ საქართველოს დასაცავად და ისიც კარგათ ახსოვთ, როგორი უსინდისო და საზიზღარი იყო იმათი მოღვაწეობა, როდესაც მთელი მშრომელი ხალხი ჩვენთან დარჩა და მათ შესაფერი მსჯავრი დასდვეს.

და აი, ეს აწუხებთ: ჩვენს დანახვაზედ წარსული აგონდებათ და ვერ მოუნელებიათ. არ იციან რითი გადაგვიხადონ. ახლა თავს თავისუფლათ გრძნობენ და ჰგონიათ ყველაფერი დაეთმობათ, რასაც ჩაიდენენ...

მაგრამ ახსოვდეთ: როგორც დღევანდლამდე ვიცავდით ხიშტებით საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, დღესაც მზათა ვართ შევწიროთ მსხვერპლათ ჩვენს ერთად ერთ სწორედ აღებულ ხაზს; ვიქნებით მზათ ბრძოლისთვის, სანამ მკვიდრ მშვიდობიან ცხოვრებას არ დავამყარებთ.

ჩვენ გვწამს აღმშენებლობითი მუშაობა, ჩვენ ვაშენებთ და თქვენ, ბატონო შოთებო და ძმანო მათნო, გეყოფათ მეჯვრისხევში და სხვა სოფლებში უდანაშაულო, ბეჩავ ხალხის ანკესებზე წამოგება რუსეთიდან მოწოდებული ქანქარით.

დიახ, მე გახლდით შოთის დაარსებულ მეჯვრისხევის კომუნის სამფლობელოში ორი დღით ტყვედ. გრცხვენოდეთ. მოისვენეთ, დაასვენეთ ხალხი!..

მეორე დღეს მივედი ნებართვის მისაღეათ რუსთა ნაციონალურ საბჭოში და არას ბალშევიკების კომიტეტში. გამოსვლისას დამხვდა ბატონი შოთი თავისებურათ, ფსიხოპატის როლში და მეუბნება: სად მიბრძანდებით? მე მშვიდათ მივუგე: როსტოვში კავკავის გზით, ჩემს კერძო საქმეებზე მეთქი. აღელვებული მეუბნება: რა უფლება გაქვსო, ჩვენ შენისთანა სპეკულიანტებს ჩვენს სამფლობელოში, ესე იგი რუსეთში, არ ვღებულობთო და ან რა უფლებით მოგცეს ნებართვაო. მე ხელი მივუშვირე საბჭოზედ, თან დავსძინე: მე ხომ თქვენი მანდატით არ მივდივარ და რა უფლებით მიკრძალავთ წასვლას, ან რას წარმოადგენთ თქვენ რუსეთში მეთქი. როდესაც ხელშეკრულობის ძალით ჩემს წასვლის უფლებებს ვიცავდი, გაბოროტებული შოთი შევარდა თავის კომიტეტში და გამოიყვანა, ალბათ, თავმჯდომარე კომიტეტისა ქაღალდით ხელში. მეუბნება გაჯავრებით: შენ ხარ ნიკა ბალდინოვიო. დიახ, მეთქი, მე გიბრძანებ არ წაჰვიდე, თორემ სათანადო განკარგულებას გავსცემ დაგაკავონ როგორც გადამცდები საქართველოს საზღვრებსო. შემდეგ შეიკრიბენ თავიანთ ოთახში და ვინ იცის ვის ბედ-იღბალს განაგებდნენ.

მაკვირვებს მხოლოდ ერთი: რაში სჭირდებოდათ ბალშევიკებს „კრაევოი“ კომიტეტის გაუქმება და საქართველოს კომუნისტური პარტიის დაარსება, როდესაც მხოლოდ რუსეთის საქმეებს აწყობ-აკეთებენ თფილისში“...

ჰონი ნიკოლოზ ბალდინოვი.
7 ივნისი, 1920 წელი.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

10 ივნისი.

## ბალშევიკების ცნობები.

**ომი გამარჯვებით უნდა დამთავრდეს.**

პოლონეთის რუსეთზე ვერაგულათ თავდასხმამ საბჭოთა რუსეთი ახალ ომში ჩაითრია. ომი უნდა დასრულდეს მალე გამარჯვებით, ამიტომ ყველგან უნდა იქნეს დაცული მკაცრი წესრიგი, ფოლადის დისციპლინა. მუშაობაში ყოველივე შეფერხება, წესრიგის ყოველივე დარღვევა ომს გააგრძელებს და ზედმეტ მსხვერპლს მოითხოვს. ყველა ის, ვინც ცდილობს დაშალოს შრომისა და სამხედრო ფრონტი, ის ან ჯაშუშია ან და თანამშრომელია დენიკინისა და ვრანგელისა, უკან მყოფი ჯაშუშია, თანამშრომელია პოლონეთისა და ან მათ ზურგის. ეს გამცემი მუშაობა უნდა დაისაჯოს რევოლიუციური კანონის მთელის სიმკაცრით.

**ს ზავო მოლაპარაკება:**

8 ივნისს ჩვენი დელეგაცია ფინეთთან მოსალაპარაკებლათ დერპტში ბერზინასკის და კერჟიცკის მეთაურობით.

როსტოვში მოვიდა სომხეთის რესპუბლიკის დელეგაცია სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარე ლეონ შანტის და სხვათა შემადგენლობით. ისინი მოსკოვ-

ში მიდიან საბჭოთა რუსეთთან ზავის შესაკვრელად.

**ფრანგული ცნობები:**

**საერთაშორისო სასოფლო კომისია.**

ორშაბათს შეიკრიბა საერთაშორისო სასოფლო სამეურნეო კომისია. ყოფილმა მინისტრმა მელინმა განმარტა, თუ რისთვის გამორიცხეს გერმანია ამ კომისიიდან და განაცხადა, რომ ის გერმანიასთან ეკონომიური თანამშრომლობა მაშინ დაინახავს შესაძლებლად, როდესაც ის გულწრფელად უარყოფს თავის მილიტარიზმსო.

**ფასების დაცემა.**

მარსელის კომერციულ ბირჟაზე ყველა სურსათზე ფასები ეცემა: ყავის ფასი დაეცა 294 დან.—272-მდე, მუხუდო 205—170 და 210—195 მანეთამდე, ლობიო—200—190, ოსპი—130—115-მდე, თახვის ყაირი—160—140, ზღვის ზეთი 450—350, ალჟირის ღვინო—146—134-მდე, აგრეთვე დაიწია ნართის ფასმა 680—590-მდე და თეთრმა სუფთა საპონმა 460—440-მდე.

იუწყებიან: ჟერის დეპარტამენტის უკანასკნელ იარმუკაზე საკლავი საქონელი ძლიერ გაიაფდა. დორდონის დეპარტამენტში ღვინის მოსავალი საუცხოვოა. ბერჟერაკში ღვინის ფასი 300 ფრანკით დაეცა. ნიმში ღვინის ფასის დაცემა გრძელდება.

# ახალი ამბები

**პარტიული ყრილობა** გაიხსნება ნაძალადევში პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში კვირას, 13 ივნისს, შუადღის 12 საათზე. დანარჩენი სხდომები კი მოხდება ქალაქის საბჭოს დარბაზში.

✦ **დღეს, საღამოს 6 ს. დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის მორიგი სხდომა.**

✦ **დღეს**, საღამოს 6 ს. დანიშნულია საკონტროლო კომისიის სხდომა, რომელზედაც პრეზიდიუმი კომისიისა წარმოადგენს განსახილველათ პარტიულ ყრილობაზე წარსადგენ მოხსენებას. ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

✦ **საზავო ხელშეკრულება.** 7 ივნისის სხდომაზე გარეშე საქმეთა კომისიამ განიხილა ხელშეკრულება საქართველოს და რუსეთის შორის დადებული. სხდომას დაესწრენ აგრეთვე გარეშე საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი და სამხედრო—გრ. ლორთქიფანიძე, ხელშეკრულება მიღებულ იქნა ერთის წინააღმდეგ. გადაწყვეტილი იქნა საზავო ხელშეკრულება გადაეცეს იურიდიულ დ გარეშე საქმეთა კომისიებს, რომელთაც შეერთებულ სხდომაზე უნდა ხელ-ახლა განიხილონ ხელშეკრულება საბოლოო ფორმაში.

✦ **კავკავში შესვლის აკრძალვა.** ამიერ-კავკასიის რუსთა ეროვნულ საბჭოში გამოკრულია შემდეგი განცხადება: „თერგის საოლქო რევ. კომიტეტის განკარგულებით განსაკუთრებულ განცხადებამდის კავკავში შესვლა აკრძალულია". განცხადებაზე ხელი მოწერილი აქვს ამიერ-კავკასიის რუსთა ეროვნულ საბჭოს მდივანს.

✦ **საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელ კიროვის** ჩამოსვლისას ამიერ-კავკასიის რუსთა ეროვნულ საბჭოს განზრახული აქვს გადასცეს მას არქივი წარმომადგენლობის, ყველა საქმეების და რუს მოქალაქეთა რეგისტრაციის შესახებ. საბჭოს დარჩება მხოლოდ ნაციონალურ უმცირესობის წარმომადგენლობითი ორგანიზაციის უფლება.

✦ **დახმარება მოუსავლობით დაზარალებულთ.** შინაგან საქმეთა სამინისტროში, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის ჭიჭინაძის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი მომარაგების და მიწად-მოქმედების სამინისტროების წარმომადგენლების მონაწილეობით. თათბირზე განიხილეს საკითხი წარსულ წლის მოუსავლობით დაზარალებულ მაზრების მცხოვრებთათვის დახმარების შესახებ. თათბირს დაესწრენ აგრეთვე მომარაგების მინისტრი, გენერალ-გუბერნატორი კ. სულაქველიძე, გორის, ქუთაისის, ლეჩხუმის და სხვა მაზრების წარმომადგენლები. მომარაგების სამინისტროს ხელში იმყოფება ხორბალის საგრძნობი მარაგი, რომელიც შეუძლია მისცეს მცხოვრებთ ფუთი 850 მან. მხოლოდ ფასდადებით. საკითხის ყოველმხრივი განხილვის შემდეგ თათბირი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სასურველად სცნო მიეცეს მომარაგების სამინისტროს იმის უფლება, რომ მოუსავლობით დაზარალებულთ მიყიდოს ფუთი პურის ხორბალი 400 მან. იმ პირობით, რომ ზარალი გამოწვეული ასეთი ოპერაციით ჩარიცხული იქნეს ხაზინის ანგარიშში. ეს დადგენილება ეცნობა მთავრობას.

✦ **მარილი მცხოვრებთათვის.** ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილების მიერ მიღებულია 5 ვაგონი მარილი. ამ დღეებში მოელიან კიდევ 10 ვაგონს. სულ თფილისის მცხოვრებთა საჭიროებისათვის შესყიდულია 50,000 ფუთი მარილი.

✦ **მომარაგების სამინისტროს** ცნობით 8 და 9 ივნისს ფოთიდან გავიდა უცხოელთა ორი გემი, რომლებმაც საქართველოსათვის ხორბალი მოიტანეს. ერთი გემი დატვირთულია ქვა-ნახშირით (3000 ტონ.) და აბრეშუმის პარკით, მეორე კი შავი ქვით.

✦ **გადამდები ავათმყოფობანი.** ქალაქის საექიმო სასანიტარო ბიუროს ცნობებით თფილისში მაისის განმავლობაში ავად გამხდარა პარტახტიანი სახადით—21, მუცლის სახადით—8, შექცევითი სახადით—12, ყვავილით—3, წითელათი—14, ქუნთრუშით—2 დიფტერიტით—4.

✦ **ბავშვთა და დედობის დაცვის საზოგადოებაში.** მთავრობამ მოიწონა დამფუძნებელ კრებისთვის გადასაცემათ განათლების მინისტრის პროექტი დეკრეტისა დედობისა და ბავშვთა დაცვის საზოგადოებისათვის, „ბავშვთა სახლის", კონსულტაციის და ბავშვთა ბაღის მოსაწყობათ 380,092 მ. გაღების შესახებ.

✦ **საზავო დელეგაციის გამგზავრება.** 9 ივნისს, დილის 11 საათ. თფილისიდან სალ-ოღლში გაემგზავრა საქართველოს საზავო დელეგაცია.

✦ **ხალხთა ლიგის საქართველოს საზ-ების კრება.** შაბათს, 12 ივნისს ქალაქის საბჭოში შესდგება საქართველოს ხალხთა ლიგის საზოგადოების სხდომა. ხსენებულ საზოგადოების პრეზიდიუმი სთხოვს საქართ. პროფეს. კავშირთა ცენტრალურ საბჭოს, კოოპერატივთა ცენტრ. კავშირს, ქალთა საზოგადოებებს და სხვა საზოგადოებრივ და კულტურულ განმანათლებელ ორგანიზაციებს, ხალხთა ლიგის საზოგადოების სხდომაზე გამოგზავნონ თავისი წარმომადგენლები.

✦ **მუშათა ცენტრალური კლუბი.** უკანასკნელ კრებაზე გამგეობამ დაადგინა, რათა 19 ამ თვეს, გაიხსნას საზაფხულო ბაღი. გამგეობამ აირჩია საღამოს მომწყობი კომისია. საღამოს პროგრამა ცალკე იქნება გამოცხადებული.

✦ **ხელზე მოსამსახურეთა კავშირის** გამგეობამ 8 ივნისს სხდომაზე დაადგინა, ვინაიდან დაშნაკცაკანების პარტიამ დაარღვია დეკრეტი 1918 წლის 14 იანვრისა და არ მიიღო კავშირის წევრები კაფე „უნიონში" და „ლებერტეში", იშუამდგომლოს სეკრეტარიატის და შრომის კომისარის წინაშე, რათა მოეთხოვოს პასუხი ამ პარტიის მთავარ კომიტეტს და გაგებინონ მას, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ყველამ ერთნაირად უნდა აგოს პასუხი კანონის წინაშე. გამგეობა.

✦ **ძველი პარტიული** მუშაკი მოხუცი ამხანაგი კოსტა შენგელია ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ, დღეს გაეწერა რკინის გზის საავათმყოფოდან. ის უღრმეს მადლობას უცხადებს ყველა ექიმებს და მუშა-მოსამსახურეებს დაუზარებელ მოვლა-პატრონობისათვის.

✦ **ვაჭრობის აღკრძალვა ქუჩებში.** თფილისის ქალაქის თვითმართველობის მედიკო-სანიტარულმა განყოფილებამ მოხსენება წარუდგინა გამგეობას ქუჩებში ტბილეულობით და ცივ სასმელებით ვაჭრობის აღკრძალვის შესახებ. გამგეობამ მოხსენება მოიწონა.

✦ **არქეოლოგიურ სიძველეთა გამოკვლევა.** ხელოვნების კომისიამ გაითვალისწინა რა ექლესია-მონასტრების განძეულობის ცნობაში მოყვანის და აგრეთვე სახუროთმოძღვრო ძეგლების მდგომარეობის გამორკვევის დიდი მნიშვნელობა, დაადგინა ეთხოვოს დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმს, ამ ზაფხულს საშუალება მისცეს პრეზიდიუმის წევრს ექ. თაყაიშვილს განაგრძოს შარშან დაწყებული მუშაობა ამ საგნის შესახებ. მოგზაურობის დროს ექ. თაყაიშვილს საუბარი ექნება ხალხთან ჩვენი ისტორიისა და თანამედროვე მომენტის შესახებ. ხელოვნების კომისია სთხოვს დამფუძნებ. კრების პრეზიდიუმს გაღებულ იქნას საჭირო თანხა.

✦ **სოფლელთა საჩივრები.** გენერალ-გუბერნატორის კანცელარიამ აღმოსავლეთ საქართველოს ყველა სამაზრო ერობების გამგეობებს შემდეგი ცირკულიარი დაუგზავნა: ამ უკანასკნელ დღეებში შემოდის სოფლელთა მრავალი საჩივარი იმის გამო, რომ ცხენების უკანასკნელ მობილიზაციის გატარების დროს ადმინისტრაცია და მიმღები კომისია აკავებს იმ ცხენებს, რომლებიც ერთ მაზრაში გასინჯვისა და განთავისუფლების შემდეგ, მეორე მაზრაში გადავიდენ, რაც ძლიერ აბრკოლებს თავისუფალ მიმოსვლას, და ცუდ გავლენას ახდენს სასოფლო მეურნეობასა და მესაქონლეობაზე. ამის გამო წინადადებას გაძლევთ, არავითარ შემთხვევაში არ დააკავოთ ცხენები, რომლებიც განთავისუფლებულია ერთ რაიონში.

✦ **საქართველოს მოძრავი შემადგენლობა.** ადერბეიჯანსა და საქართველოს შორის ომის დაწყების დროს საქართველოში დარჩა ადერბეიჯანის რკინის გზის ვაგონები: საფოსტო 1, საბარგო 3, პირველი კლასის 2, მესამე—9, მოსამსახურეთა—5, ცისტერნი—12 და საგანგებო—3. ამავე დროს ადერბეიჯანის ტერიტორიაზე დარჩა საქართველოს რესპუბლიკის 230 ვაგონი და 17 ორთქლმავალი. ამ ხანებში სადგ. ალსტაფაში გადასაცემ პუნქტზე ვაგონების შესაკეთებელი 750,000 მანეთის მასალა და 1 ნახ. მილიონი მანეთის ლითონის სხვადასხვა მასალა დარჩა.

✦ **მოსკოვის სამხატვრო თეატრის** მსახიობებმა სახელმწიფო თეატრის კომისარს წუწუნავას და ყველა მოსამსახურეებს მადლობა გამოუცხადეს იმ მიღებისათვის, რომელიც მათ გამოიჩინეს მსახიობების მიმართ.

✦ **სურათების გადაღება ბრძოლის ველზე.** ფრონტიდან დაბრუნდა მხატვარი კ. ქავთარაძე, რომელსაც მრავალი საგულისხმიერო ფოტოგრაფიული სურათი გადაუღია ბრძოლის ველზე.

✦ **მიწის ძვრის კომისიის მუშაობის დამთავრება.** სამთო სამმართველოს უფროსის ინჟ. ი. ყიფშიძის თავმჯდომარეობით შემდგარმა კომისიამ უკვე დაამთავრა მასალების მოგროვება გორის მაზრაში მიწის ძვრის შესახებ. ეს მასალები დამუშავდება და მთავრობის საგანგებო კომისიას გადაეცემა.

✦ **საჩუქარი ფრონტისთვის** გუშინ ახალციხის მიმართულებით გაიგზავნა დიდი ტრანსპორტი საჩუქრებისა მეომართათვის.

✦ **ამბულატორიების გახსნა ახალციხის მაზრაში.** დამფუძნებელ კრების ჯანმრთელობის კომისიამ დაამტკიცა ახალციხის მაზრაში 2 ამბულატორიის შტატები და ხარჯთ-აღრიცხა, რომელიც უდრის 223,750 მან.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

სტუდენტთა კოოპერატივ „ჩვენი ოჯახი"-ს წევრთა კრება შესდგება კვირას, ივნისის 13-ს, დილის 10 საათზე. კრება კანონიერი იქნება, რამდენიც არ უნდა დაესწროს.

— 11 ივნისს, საღ. 5 ს, შესდგება საქართველოს ს.-დ. მ. პ. მე-3 რაიონის კოლექტივის წევრთა ჩვეულებრივი სხდომა, (კახეთის ქ, № 1).

# სავალდებულო დადგენილება

1. ყველა საზოგადოებრივ და კერძო საწყობების გამგენი, სავაჭრო დაწესებულებათა, ამხანაგობათა, სახელოსნოების და სხვათა მეპატრონენი და აგრეთვე კერძო პირები, რომელთაც მოეპოვებათ ბენზინი, ტაოტი, გარგოლი და ყოველგვარი სამანქანო ზეთები, ვალდებულნი არიან დღიდან ამა სავალდებულო დადგენილების გამოცემის, სამი დღის ვადაში წარადგინონ აღსარიცხავად ცნობები აღნიშნულ მასალის შესახებ, ქალაქის სასურსათო განყოფილებაში.

2. ყველა სახაზინო დაწესებულებანი, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო, ვალდებულნი არიან მუხ. 1-ში აღნიშნული ცნობები წარუდგინონ სათბობ მასალის განმანაწილებელ ბიუროს (მისამართი: ჩერქეზიშვილის ქ., სახაზინო გზების ნავთსადენის ნაწილი).

3. ქალაქის სასურსათო განყოფილების მიერ აღრიცხული ბენზინის, ტაოტის, გარგოლის და ყოველგვარი სამანქანო ზეთების გაყიდვა კერძო დაწესებულებების და სავაჭრო საწყობებისა უნდა ხდებოდეს მხოლოდ ქალაქის სასურსათო განყოფილებების ორდერებით ქალაქის მიერ დაწესებულ ფასებში იმ დაწესებულებებზე, რომლის სია შემუშავებულია სათბობ მასალის განმანაწილებელ ბიუროს მიერ. კერძო ვაჭრობა, თუ არა აღნიშნული წესით, აკრძალულია.

4. აკრძალულია კერძო პირთა და საბირჟო ავტომობილების და მოტოციკლეტების მიმოსვლა.

5. მთავრობის გარაჟის სახაზინო და საზოგადოებრივი დაწესებულებათა მომუშავე ავტომობილებს დღიურ სახარჯო ნორმათ მიეცემათ არა უმეტეს ნახევარი ფუთი ბენზინისა.

**შენიშვნა:** მთავრობის, სახაზინო და საზოგადოებრივ გარაჟების უფროსნი ვალდებულნი არიან მომუშავე ავტომობილთა სია წარუდგინონ სამი დღის ვადაში სათბობ მასალის განმანაწილებელ ბიუროს.

6. ამა სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით სამი თვით დატუსაღებით ან 25,000 მან. დაჯარიმებით.

ქ. თფილისის და აღმოსავლეთ საქართველოს გენერალ-გუბერნატორი **კ. სულაქველიძე.**

9 ივნისი, 1920 წ. ქალ. თფილისი.

# წერილები ფრონტიდან

I

მდინარე ხრამის პირად.

რამდენიმე დღეა ფრონტზე სიწყნარეა. არ გაისმის ბრძოლის ველისთვის ჩვეულებრივი თოფა-ზარბაზნების ჭექა-ქუხილი.

ახლა დროებითი ზავია, მაგრამ ჩვენს გვარდიას, ჯარს და ხელმძღვანელებს საომარი სამზადისი, სიფხიზლე და მტრისთვის თვალის დევნება ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ, რადგანაც კარგათ ვიცით, რომ რამდენათ ფრონტი მტკიცე და მაგარი არის, რამდენათ მისი დამცველი რაზმები ძლიერდება, რამდენათ ჩვენ ბრძოლისთვის ვემზადებით, იმდენათ უფრო ადრე და კარგს პირობებში მივიღებთ ზავს...

ის ადგილები, სადაც ახლა ჩვენ ვიმყოფებით, ისტორიულია. რამდენიმე დღის წინად აქ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იყო; ბევრი მებრძოლი, როგორც ჩვენი, ისე მტრის, შეეწირა ომის ღმერთმა.

ხრამის ნაპირები მოწამე არის ჩვენი გვარდიელების თავგანწირული ბრძოლისა ადგილას დღეს სიმშვიდე არის, ის წარმოადგენს გვარდიის დასასვენებელ ბანაკს. ნაწილი გვარდიელებისა პოზიციებზე დგანან. მტრის მიმართულებით სანგრებში ყურადღებით იცქირებიან, ნაწილი კი, ისვენებს, მაგრამ ამ დასვენების დროსაც ჩვენ ფრონტსაც არ ვივიწყებთ და განსაზღვრულ დროს მწყობრათ, ლამაზათ, სიმღერებით გვარდიის ბათალიონები ერთი-მეორეს მიყვება და განაგრძობენ მუშაობას, რაიც გამოიხატება სანგრების და სხვადასხვა სიმაგრეების შენება-გაკეთებაში.

ბუნება აქ ჩვენთვის უცხო არის. მდინარე ხრამი, ალგეთა და შემდეგ კი მტკვარი, თითქოს შეთანხმებულათ უერიან თავს ყარაიაზთან მთელ აღმოსავლეთ საქართველოს წარსულს და აწმყო. აქ ხვდებიან ერთმანეთს ბორჩალოს და თვით შორეულ არტაანიდან წამოსული მდინარეები და ყარაიაზის ერთფეროვან მინდვრებში თავს იყრიან მოლივლივნი, მოჩანცულნი, ეშვებიან ისტორიულ შამქორისაკენ და კასპიის ზღვისაკენ მიეშურებიან.

მტკვარი აღმოსავლეთ საქართველოს მინდვრების აბრეშუმის სარტყელია, რომელიც ნელა მიიხლაზნება, ჩაფიქრებული ბუტბუტებს, და ეს ბუტბუტი მთვარიან ღამეში გეჩვენებათ ნანათ ატეხილ ჭალებში, მოელვარე პურში, რომელიც სულს ითქვამს და თმა წავარცხნილი ხან გულს უღებს მცხუნვარე მზეს, ხან კი კოკისპირული წვიმებით ბანაობს, გრილდება.

წითელი ხიდის მიდამოები საქართველოს სხვა ადგილებთან შედარებით ერთფეროვანია, მიუხედავათ იმისა, რომ მას მარჯვნით აკრავს მშვენიერი ბორჩალო და მარცხნით კი გვირგვინი საქართველოს ბუნების მშვენიერებისა—კახეთი. მიუხედავათ ამისა, ამ ატეხილ ჭალებს, სიცხე პაპანაქებაში გამოთუშულ მიდამოებს აქვს თავისი სიმშვენიერე, თავისი მიმზიდველობა და ეს მშვენიერება კიდევ უფრო იზრდება ეხლა, როცა გაისმის დაუსრულებელი ყიჟინა საქართველოს ლაშქრისა, როცა გურულ ოდელიას მისდევს კახური მრავალ-ჟამიერი, იმერულ მაყრულს—მეგრული დელი-დელა და სხვა.

და ამ ერთი შეხედვით ერთფეროვან ბუნებას, ადამიანის სიცოცხლით გაცხოველებული მიდამოები ხან დაუსრულებელ მუსიკის და მხიარულების ხმებში აქსოვს და ხან კი ხრამის ტალღებში მობუტბუტე წარსული მტკვრისაკენ ამბის წასაღებათ მომზადებული, ჩაგაფიქრებს და აღგიძგენს წინაპართა ბრძოლას ქართლის თავისუფლებისათვის და ოცნებათ გეჩვენება სინამდვილე.

ვინ იცის, რამდენ მგზავრს, ქართლის მწარე ხვედრით შეწუხებულს უფიქრნია აქ იმაზე, რასაც ჩვენ ეხლა ვაკეთებთ, რაც ჩვენთვის სინამდვილეა, და ოცნებით გაღვიძებს ისევ სიმღერა, ისევ ახმაურებული ფრონტი, რომელიც სცოცხლობს მთელი სიცოცხლით და ფიქრობს სადი აზროვნებით.

არც ერთი იქვი, არც ერთი უიმედობა, არც მისი ლანდები არ მოსჩანან ჩვენს გარშემო. ბუნებამ თვით ბუნება ჰპოვა ამ მოსიმღერე ხალხში და ცხოვრების ჰარმონია შეიქმნა.

ასეთი არის ჩვენი ფრონტი, რომლისკენაც დღეს მიპყრობილია საქართველოს დემოკრატიის გულის ყური, დღეს ყველა შეგნებული მოქალაქე და ჩვენი რესპუბლიკის ერთგული შვილი ფრონტზედ და მის დამცველებზე ფიქრობს, ზრუნავს და ცდილობს, როგორმე შეუმსუბუქოს მათ ის მეტად მძიმე მდგომარეობაში ყოფნა და ცხოვრება, რომელიც საზოგადოთ ხვედრია ყველა ფრონტზე მყოფისა. ზურგის ასეთ მჭიდრო კავშირს, მშობლიურ ზრუნვას გრძნობს ფრონტი, მისი დამცველი გვარდია და ჯარი. ეს მათახარებს, ჰპატებს იმედებს, ენერგიას და ეს არის სწორედ თავმდები ჩვენი გამარჯვებისა!..

**მიხ. ბაღუნაიშვილი.**

II

წერილი ძვირფას დებს და ძმებს.

5 ივნისს მივიღეთ თქვენ მიერ გამოგზავნილი წვლილი, რამაც დროებით სული ჩამიბრუნა.

ვერ წარმოიდგენთ ძვირფასო დებო და ძმებო, რა რიგათ იმოქმედა ჩემზე თქვენ მიერ გამოგზავნილმა საჩუქრებმა.

მე დამაკმაყოფილა არა საჩუქრებმა, არამედ იმედმა. მე დავკმაყოფილდი მით, რომ თქვენც პატარებმა იგრძენით საჭიროება ჯარისა და გადაწყვიტეთ დახმარება შეძლებისდა გვარათ.

ლატაკს ვერ გაამდიდრებს შემწყალებლისაგან გაღებული მცირედი წვლილი, მაგრამ აქ ანგარიში უნდა გავუწიოთ, თუ როგორი თანაგრძნობით გასცა მან ეს მოწყალება...

მეც ამან გამახარა, რადგანაც, დარწმუნებული ვარ, თქვენ არ გიცახცახებდათ ხელი იმ საჩუქრების ჩალაგების დროს და სწორეთ ეს მცირედი წვლილი, რომელიც გულახდილად უძღვენით მეომრებს, საბუთია იმისი, რომ თქვენ დაუმტკიცეთ ჩვენს მტრებს და მოყვრებსაც, რომ ქართველ ერს არ სძინავს, ის მზად არის შეებრძოლოს მტერს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

დასასრულ, ძვირფასო ძმებო და დებო, ვალდებული ვართ შევფიცოთ ჩვენს სამშობლოს იმ მეომარს, რომელმაც გაიღოს გულში ღალატი საქართველოსი, მტრის შემოსევისთანავე ტარში გადაუტყდეს ამოღებული ხმალი, უკეთუ მას ხელფეხი აუცახცახდეს და ლაჩრულათ მოიქცეს. ოხერი იყოს მისთვის სამშობლო კერა!..

ვუსურვოთ გამარჯვება ჩვენს საქართველოს!..

№... ქვეითა ათასეულის ჯარისკაცი **იუსტინე შანიძე.**

ს. ქერფილო.

# ნეკროლოგი.

**ამხ. ვლადიმერ გორგიშელის ხსოვნას.**

15 მაისს, ადერბეიჯანის ფრონტზე შეტევის დროს, მძიმედ დაიჭრა და ივნისის პირველს გარდაიცვალა ამხანაგი ვლადიმერი.

ის იბრძოდა გაგრის ფრონტზე. პირველად იქ დაიმსახურა ამხანაგებში სიმპატია და სიყვარული. ის მუდამ ერთგული იყო სამშობლოს და რევოლიუციის დაცვაში, რაც დაამტკიცა კიდეც უკანასკნელ ბრძოლაში 15 მაისს.

ამხანაგო ვლადიმერ! ფრონტზე მყოფი რკინის გზის უბნის სახალხო გვარდიელები მწუხარებას გამოსთქვამენ და ფიცს სდებენ, რომ როგორც იმ დღეს, კვლავაც ძვირათ დაუსვამენ მტერს შენს სისხლს და ერთს ათასათ ავანაზღაურებთ...

შენ წარიმალე ჩვენს სიიდან, როგორც მებრძოლი, მაგრამ წარუშლელი იქნება შენი გმირობა და დიდება ჩვენ შორის.

მშვიდობით ამხანაგო ვლადიმერ!

მოწინავე პოზიციაზე მყოფნი, რკინის გზის უბნის სახალხო **გვარდიელები.**

**ამხ. ერმალო ცხადაიას ხსოვნას.**

8 ივნისს, ღამის 12 ს. ხან მოკლე ავათმყოფობის შემდეგ ფილტვების ანთებით გარდაიცვალა ფოთის რკინის გზის რაიონული გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე ერმალო ცხადაია.

ვინც კი იცნობს ერმალოს მუშაობას პოლიტიკურ ასპარეზზე, მისთვის ცხადია, რომ მისი უდროოთ გარდაცვალებით ჩვენ დავკარგეთ მუშათა კლასის ინტერესებისათვის თავდადებული მებრძოლი და საუკეთესო საზოგადო მოღვაწე...

ერმალოს, როგორც სიტყვიერი, ისე საქმითი მუშაობა საუკეთესო მაგალითი იყო იმისი, რომ მხოლოდ დემოკრატიზმით შეიძლება სოციალიზმის დამყარება. ის შეუსვენებლათ მუშაობდა ამ ნიადაგზე. მისი ინიციატივით მოეწყო ფოთში რკინის გზის კლუბი, მუსიკა და მრავალი სხვა, რითაც დღესაც სტკბება და მომავალშიაც დასტკბება ფოთის დემოკრატია,—განსაკუთრებით კი, რკინის გზის მუშა-მოსამსახურენი, რომლებიც გულიდან განუყრელი სიყვარულით და პატივისცემით მარად ღრმა მწუხარებით მოიგონებენ მას. ჩვენ კი, ცხრაას ექვსიდან მისი პირადი ამხანაგ-მეგობრები, გულის კვნესით დავსტირით მის ცხედარს. მის ნაცნობ-მეგობრების და ნათესავების მწუხარებას ვუერთებთ ჩვენს გულის კვნესას.

მშვიდობით ამხანაგო ერმალო!

შენი ამხანაგები **იოსებ და მელიტო ყაჭიეშვილი.**

# დუშეთის მაზრაში

ჰოპორტი.

ეს სოფელი მჭიდროდ დასახლებულ მოსახლეობისაგან შესდგება. ხალხი უფრო გამოფხიზლებულია, ვიდრე მის გარშემო მდებარე სოფლებში. აქედან ფრონტზე ბლომათ არიან წასული გვარდიელებიც და ჯარისკაცებიც. ადრევაც მქონია აქ კრება და ხალისით ესწრება ხალხი. ახლა მით უფრო გაუხარდათ, რაკი გაიგეს ფრონტის ამბებს გვიამბობსო.

როცა გაიგეს, რომ ჩვენი საქმე კარგადაა და მსხვერპლიც მცირეა,—გამხიარულდენ.

— განა არ ვიცით, რომ თავს არ შეირცხვენს ქართული ლაშქარი, მაგრამ ამ დასაქცევ დედაკაცებმა წაიღეს ილაჯი. თითო ისეთს ჭორს დაახეთქებენ, რომ ლამის გადავირიენეთ. ხან იტყვიან: თფილისს მოუახლოვდენ თათრები, ხან რასა და ხან რასა. ჩვენი გაზეთები ეგენი არიან და გვიწყალებენ გულს მიეთ-მოეთობითაო.

მე ვამხილე ქალები, მოუყვანე მაგალითი ქალების გმირობისა და მოუწოდე გვერდში ამოუდგნენ თავიანთ ქმრებს ქვეყნის და თავისუფლების დაცვაში და ხელი შეუწყონ მათ გაჭირვების გადატანაში.

ჰოპორტიდან საგურამომდის მხვდებოდა პატარ - პატარა სოფლები, რომლებიც საშინლად მოშხამული არიან და არავითარი სწორი წარმოდგენა არა აქვთ არც ჩვენი მტრების და არც ჩვენი მთავრობის თაობაზე. იგინი დარწმუნებული არიან, რომ ჩვენი მთავრობა ძალათ უტეხს ომს მეზობლებს და ვითომ ჯარებიც ბევრი გვეღუპება.

გუშინ გავიგეთ, ვითომც დუშეთის მაზრის გვარდიას უკვე ჰქონია შეტაკება მტერთან და დამარცხებულა, მტერს ყველა ამოუწყვეტნია, გადარჩენილა მხოლოდ სამი კაცი, ისიც ისეა დაჭრილდასახიჩრებული, რომ საკაცეებით ძლივს მოუყვანიათ გოსპიტალშიო.

მე ძლივს-ძლიობით დავარწმუნე, რომ ეს ცრუ ხმებია, რომ დუშეთის გვარდიას ჯერ არც კი შეხვედრია ბრძოლა.

ერთს სოფელში ასეთი ამბავი დამახვდრეს: დუშეთის მაზრის გვარდიის ხელმძღვანელს ტატე შუშიაშვილს მოტყუებით წაუყვანია გვარდიელები ვითომდა თათრების წინააღმდეგ საბრძოლველად, ნამდვილად კი ბოლშევიკები დახვედრიან ფრონტზე. ეს რომ შეუტყვიათ გვარდიელებს—განარებულან: როგორ თუ ჩვენ ბოლშევიკების წინააღმდეგ გამოგვიყვანესო და იქვე მოუკლავთ ტატე შუშიაშვილიო.

არ ვიცი გასჭირდა თუ არა ჩემი მტკიცება, რომ ეს პროვოკატორების გამოგონილი ამბავია, მაგრამ, საბედნიეროდ სწორეთ მაშინ ფრონტიდან გვარდიელმა ამოიარა და ამოიტანა გვარდიელების ამბავიც და წერილებიც. ამ ამბავმა დაარწმუნა იგინი ჩემი სიტყვების სიმართლეში და დამპირდენ, რომ აღარ აყვებიან ასეთ ხმებს.

---

**გურამიანთ კარი.** საგურამოს საზოგადოება ერთი ბედნიერებით არის დაჯილდოებული, რომელიც მოენატრებოდა მრავალ სხვა მაზრას. ესაა სამეურნეო სასწავლებელი. დიდი ხანია, რაც ეს სასწავლებელი დაარსა ილია წინამძღვარიშვილმა. აქ აღზრდილი მეურნეები ეფინებოდნენ საქართველოს და ავრცელებდნენ ხალხში სამეურნეო ცოდნას. სამწუხაროდ დუშეთის მაზრის მცხოვრებთა გონებრივად ჩამორჩენილობის გამო აქაურ გლეხებს არ ესმოდათ ამ სკოლის დანიშნულება და არ აბარებდენ ბავშვებს. სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსული ბავშვები ხარბად ეწაფებოდნენ სწავლას, აქაური ბავშვები კი ხბორების დევნაში ატარებდნენ დროს.

ერთი გარემოებაა გასაკვირველი. წინამძღვარიანთ კარში უმასწავლებნიათ ჩვენს ცნობილს საზოგადო მოღვაწეებს: ის. რამიშვილს, იაკობ გოგებაშვილს, ლ. ბოცვაძეს, აპ. წულაძეს, წითლიძეს და კიდევ სხვა მრავალს. ახლა მასწავლებლობენ სხვათა შორის ლავრენტი და ნესტორ ძიძიგურები, რომელთაც ხალხის სიყვარული აჩერებს ამდენს ხანს ამ სოფლად და მიუხედავად ამისა—ხალხს არაფერი ემჩნევა, კვალი არაფერს ატყვია. კაცს ეგონება ძე ხორციელს არ უზრუნია ამ ხალხის განსავითარებლადო—ისეა იგი ჩამორჩენილი და გამოყრუებული. ხალხს ყველაფერი დაუვიწყნია. შერჩენია ხსოვნა და სიამოვნებით იგონებს ისიდორე რამიშვილს. კარგი იქნება, თუ როგორმე მოიცლიდა პატივცემული ისიდორე და ინახულებდა თავის ყოფილს სამწყსოს. ვიცი, სრულებით არა აქვს მას მოსვენება. ხან აღმოსავლეთისკენ უკრავენ თავს, ხან დასავლეთისკენ. მიუხედავად ამისა, მაინც როგორმე უნდა გაიჭიროს და ასეთს ჩამორჩენილს კუთხებსაც მოჰხედოს. მისი მარტო ერთი ჩამოვლა მთავარი პუნქტებისა იმდენს გააკეთებს, რამდენსაც ათი პროპაგანდისტიც ვერ შესძლებს მთელი წლის განმავლობაში.

დუშეთის მაზრაში დიდხანს ეხსომებათ ერთი სასიხარულო მომენტი.

ერთხელ დუშეთში დიდი მიტინგი მოვაწყეთ და მომხსენებლად გამოვიყვანეთ ისიდორე რამიშვილი. მან ჩვეულებისამებრ ყველა მოჰხიბლა, მოაჯადოვა თვისი ტკბილი იუმორით და ანდაზა-იგავებით შეთვალ-მარგალიტებული საუბრით. შეუჩვეველი [illegible] აქაური გლეხი, მაგ[illegible] ყანს ასტეხს ხოლმე, მაგრამ ახლა სმენად იყო გადაქცეული და ხარბად ჰკრეფდა მომხსენებლის ძვირფას სიტყვებს.

ისიდორემ მოიხსენია აგრეთვე ის ამბავი, რომელიც მას გადახდა ამ ორისამი წლის წინედ ბაზალეთში. მაშინ გაბოლშევიკებული გლეხები ისე აეზავებია თავხედობას, რომ არამც თუ სიტყვა გააწყვეტინეს, თოფიც კი მოუღერეს და კინაღამ არ იმსხვერპლეს.

ეს მოარული იყო, მაშინ დამნაშავე არავინ იყო. გაუარა ამ ავადმყოფობამ, გამოჰნელდა ხალხს ბოლშევიზმი და დარწმუნებული ვარ ახლა ამ ჩვენი წმინდა დროშის ირგვლივ ისინი, ვინც მაშინ მტრად მთვლიდა და ვეჯიბრებოდიო.

გაათავა თუ არა ისიდორემ ლაპარაკი, ხალხის წრე გაარღვია ბაზალელ გლეხმა სანდრო ლალიაშვილმა, დარცხვენით მივიდა ისიდორესთან და აცრემლებულმა მიმართა:—ის გლეხი, რომელმაც თქვენ თოფი მოგიღერათ და ლაპარაკი შეგაწყვეტინათ—მე ვიყავი, მე ვმეთაურობდი, როგორც ბოლშევიკი, გაავთრებულს ახალგაზრდებს... მაშინ ყველანი ძველი წყობილების მომხრე მეგონეთ, გავიდა დრო, თქვენმა და ჩვენი მთავრობის მუშაობამ დამარწმუნა, რომ თქვენ მართლა ხალხისთვის თავდადებული ყოფილხართ, მე კი მოტყუებული და გაბოროტებული მივხვდი, რომ შეცდომაში ვიყავი შესული, ვთხოვე გვარდიის შტაბის თავმჯდომარეს ტ. შუშიაშვილს დაევიწყებინა ჩემი წარსული და მივეღე გვარდიაში. დღეს მე გვარდიელი ვარ და მინდა ერთგულობით და თავდადებით გამოვისყიდო ჩემი ცოდვებიო. ახლა, მართალია, სირცხვილით ვიწვი, თქვენს წინაშე რომ ვდგევარ, მაგრამ თქვენმა სიტყვებმა ველარ მომასვენეს, გამაწითლეს და აი გთხოვთ პატიებასო. ისიდორემ ღვიძლ შვილსავით გადაჰკოცნა მონანიებული. ხალხის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მთელს მაზრაში სულ ამ ამბავზე ლაპარაკობდენ დიდის კმაყოფილებით.

ასეთი გავლენა აქვს ისიდორეს ხალხში. საგურამოელები მოელიან მას და თუ მოახერხა ამოსვლა, მწამს იგი შთაბერს გალეჩებულს სულში უქრობელ ცეცხლით აღგზნებულს სულსა.

გურამიანთ კარის კრებაზე დიდძალ საზოგადოებამ მოიყარა თავი. გაუკეთეთ მოხსენება ჩვენს მდგომარეობაზე, გავაცანით ფრონტის ამბები და უსაყვედურეთ, რომ ამ იშვიათ აღფრთოვანების ჟამს, როცა ფრონტზე კახელები ქართლელებს ეჯიბრებიან მტერთან ბრძოლაში, იმერლები სცდილობენ გურულებს მოუსწრონ ფრონტზე—ამ დროს საგურამოს სოფლებში დეზერტირები თავისუფლად დადიან და კრებაზე დასწრებაც არა რცხვენიანთ.

ამ მხილებამ იმოქმედა და მაშინვე ფაიანთი ნებით გამოერჩია თორმეტიოდე ახალგაზრდა, რომელთაც სამხედრო ბეგარა უწევდა და განაცხადა: კარგა არა გვქონდა წარმოდგენილი მდგომარეობა. ახლა წავალთ ფრონტზე და მალე შეიტყობთ, თუ როგორი ბრძოლა შესძლებიათ საგურამოელებსაო.

**სოფ. მისაქციელი.**

თემი სრულიად ახალი ორგანიზაციაა. ზოგგან ჯერ არც კია შემდგარი თემის გამგეობა. საცა არის—გამოცდილ და მცოდნე პირთა უყოლობის გამო თემში მოექცნენ ისეთები, რომელთაც ტაატითაც ძლივს მიჰყავთ საზოგადოების საქმე. ამას ზედ ერთვის უცოდინრობა თავიანთი მოვალეობისა. თემის ხელმძღვანელებს არა აქვთ გამორკვეული მუშაობის ფარგლები, რაც ძლიერ აფერხებს საქმეს. თემები უმეტესად იმ სოფლის საქმეებს აწყობენ, რომელშიაც მოთავსებულია თემის ბინა, დანარჩენს სოფლებს კი ვერ პატრონობენ.

ასეთს მდგომარეობაშია მისაქციელიც, ის ღვთის ანაბარათაა მიტოვებული. არც თვით მოეპოვება ცოტად-თუ ბევრად დაწინაურებული პირები, არც სხვა იტკივებს მათთვის თავს.

ამ სოფლის მინდვრები გამოუტულია, სარწყავი წყალი არ უდგება. როგორც იყო შარშან დაიწყეს არხის გამოყვანა არაგვიდან, კარგა ფულიც ჩახარჯეს, მაგრამ გამოცდილ ხელმძღვანელის უყოლობის გამო, მუშაობა შეუჩერდათ და წელსაც ურწყავი დარჩებათ მამულები.

ხანგრძლივ ზამთარში ამთავგორებულ თოვლმა დნობა იწყო, არაგვი ადიდა და დიდი ზარალი მიაყენა მის კიდეს მდებარე სოფლებს. ბევრგან წალეკა ვენახები, ბაღები და ყანები.

არაგვმა რიყეს გვერდი აუარა და ახალს ადგილს გაიკეთა კალაპოტი. თუ წელსვე სათავეში არ ჩაუხერგეს ახალი სადენი და ძველს კალაპოტში არ მოაქციეს წყალი, შემდეგში მთლად გაანადგურებს და რიყეთ გადააქცევს მისაქციელ-ნატახტრის და სხვა სოფლების მამულებს.

წყალდიდობამ დააზარალა აგრეთვე ქსნის პირის მდებარე სოფლები. წყალი თანდათან მატულობს და უარესი უბედურებაა მოსალოდნელი.

მისაქციელშიაც ყურადღებით მოისმინეს მოხსენება და დამპირდნენ, რომ არც ერთს დეზერტირს არ გააჭაჩანებენ სოფლად.

დავათვალიერე მისაქციელის სასწავლებელი და გული ბოღმით ამივსო მისმა საცოდაობამ.

კარებ ჩამოვარდნილ, ფარღალალა, მოძველებულს ოთახში მოქცეულია სკოლა. სჩანს სწავლის წყურვილი დიდია, რომ ოთხმოცამდის ბავშვს თავი მოუყრია ერთი ციცქნა ოთახში და სარდინის თევზებივით მიწყობილან ერთი მეორეზე. ეს კიდევ არაფერი. უბედურება ისაა, რომ კლასში პარტები სრულებით არა აქვთ. მათ ნაცვლად გაუმწკ-

რიგებიათ გრძელი ფიცრის სკამები. დასაყრდნობი არა აქვთ, წიგნები ხელში უჭირავთ, მალე ეღლებათ მკლავები და მუხლებზე იდებენ. წერას სრულებით ვერ ახერხებენ, ერთი მაგიდაც არა სდგას. კლასში არც დაფა აქვთ, მის ნაცვლად კედელზე გაკრულია ფიცარი (შავად მაინც შეეღებნათ) და მასწავლებელი მასზე სწერს, ხეჭბოები უშლიან და ასოები ისე არეულ-დარეული და დაპრანჭული გამოდის, თითქოს ეშმაკები მალაყს გადადიოდნენ. ბავშვები ასოებს ვერ არჩევენ. მე ძალიან კარგა ვიცი, რომ ერობა ღარიბია, მაგრამ სკოლისადმი ასეთივე უყურადღებობა მაინც არ მიეტევება. შეუძლებელია ასეთს პირობებში მუშაობა. რათაც უნდა დასჯდომოდა—დაფა და პარტები მაინც უნდა შეეძინა ამ სკოლისათვის. საერთოდ სკოლის საქმე დუშეთის მაზრაში მეტის მეტად უნუგეშოა, თითო-ოროლა სკოლას თუ არ ვიანგარიშებთ, უმეტესობა საცოდავს შთაბეჭდილებას სტოვებს, როგორც ბინის მხრივ, ისე მასწავლებლის სულიერ-გონებრივ ჩვლადიდების სიღარიბის გამო. გასულ წელს სიღნაღის მაზრის სკოლები დაათვალიერა დამფ. კრების წევრმა ქრ. შარაშიძის ასულმა და საშინელი სურათი დაუხატა განათლების სამინისტროს. ასეთი ჩამოვლა მით უფრო საჭიროა დუშეთის მაზრაში, რომ განათლების სამინისტრომ დაინახოს უმწეო მდგომარეობა და მიიღოს საჩქარო ზომები, რომ სკოლა სკოლას დაემსგავსოს და მასწავლებელი მასწავლებელს.

**დ. თურდოსპირელი.**

# პროფ. კავშირთა წარმომადგენლების კონფერენცია

**შრომის კანონი.**

დამფუძნებელ კრების შრომის კომისიის სახელით ამხ. **ფირცხალაიშვილი** აცნობს კრებას შრომის კანონ-პროექტის მდგომარეობას შრომის კომისიაში და ამბობს: მუშათა კანონმდებლობას საფუძვლათ უნდა დაედოს 2 პრინციპი: საწარმოვო ძალთა განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნა და თვით მშრომელთა უზრუნველყოფა. ეს ცხადია. აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია იმ საკითხმა, თუ ვისზე, რომელ მუშა-მოსამსახურეზე უნდა გავრცელდეს შრომის კანონი, რომლის პროექტი ეხლა გადამუშავებაშია. შრომის კომისიის აზრით, შრომის ხელშეკრულება უნდა გავრცელდეს ყველა მუშა-მოსამსახურეზე, გარდა უმაღლეს თანამდებობის პირთა კანტროლის და ადმინისტრატორებისა, მაგრამ ამ აზრს არ დაეთანხმა დამფ. კრების იურიდიული კომისია, რომელიც სცნობდა, რომ ხსენებული ხელშეკრულება არ უნდა ვრცელდებოდეს სახელმწიფო მუნიციპალურ მოსამსახურეებზე.

ამხ. **მ. რუსია** (იურიდიული კომისია) აღნიშნავს, რომ პირველათ შრომის და იურიდიულ კომისიებს შორის აზრთა სხვადასხვაობა არ ყოფილა და შრომის ხელშეკრულება უნდა გავრცელებულიყო ისეთ პირებზე, რომელნიც რაიმე ღირებულებას ქმნიან. არ უნდა გავრცელებულიყო მოხელეებზე, რომელთაც მუშებთან არაფერი საერთო არა აქვთ, რომელთათვისაც ცალკე კანონი უნდა გამოიცეს.

ამხ. **შ. აბაშელიშვილი** (ალმ. კომ.) ღირებულების შექმნის პრინციპით ხელმძღვანელობას ამ საკითხში გამოუსადეგრათ სთვლის, რადგან ძნელია იმის სწორედ განსაზღვრა, თუ ვინ ქმნის ღირებულებას და ვინ არა და საჭიროთ სცნობს, რომ შრომის ხელშეკრულება გავრცელდეს ყველა მუშა-მოსამსახურეებზე, გარდა საჯარო უფლებების მატარებლებისა.

ამხ. **გრ. გიორგაძე** გამოსთქვამს პირად აზრს: გამონახოს საშუალო, შემათანხმებელი ხაზი. მისი აზრით შეთანხმება იქნება ორი სხვადასხვა აზრისა და თათბირი დაადგენს, რომ შრომის რეგლამენტაცია ეხებოდეს ყველა მუშებს და იმ მოსამსახურეებს, რომელნიც განკარგულებებს არ აძლევენ თავის ხელქვეითებს და პირიქით, თვით იღებენ განკარგულებებს.

ამხ. **მ. რუსია** აღნიშნავს, რომ ძნელია იმის განსაზღვრა, თუ რომელი მოსამსახურე უნდა ჩაითვალოს ადმინისტრაციულ პირათ და რომელი არა.

ამხ. **ბაღრიძე** ამბობს, რომ სახელმწიფო მოსამსახურეთა კავშირის შედგენამდე აზრთა სხვადასხვაობა ხსენებულ კანონ-პროექტის გარშემო არ ყოფილა და მიაჩნია, რომ მოხელეთა პროფესიონალურ კავშირთა წრეში შემოშვება და მათზე შრომის რეგლამენტაციის გავრცელება კლასიურ მოსაზრებით საზარალო იქნება. ორატორს შესაძლებლად მიაჩნია გამონაკლისი დაშვებულ იქნას დარაჯებისა და შიკრიკებისთვის.

ამხ. **პ. ბერიშვილი** ამტკიცებს, რომ დასავლეთ ევროპაში და კერძოთ გერმანიაში მუშები მოითხოვენ და სცდილობენ, რომ ყველა დაწესებულება-წარმოების მუშებისთვის ერთი, მთლიანი კანონმდებლობა იყოს. შრომის სამინისტროს აზრიც ასეთია. ამისდა შესაფერად იყო შედგენილი კანონ-პროექტიც. მაგრამ მმართველი წრეები სახელმწიფო მოსამსახურეების საკითხში საწინააღმდეგო აზრს დაადგნენ და ამბობდნენ, სახელმწიფო დაწესებულებებში მხოლოდ დარაჯებზე შეიძლება შრომის რეგლამენტაციის გავრცელება, მაგრამ მათთვის გამონაკლისის დაშვება არ ღირსო. ჩვენც დავთანხმდით. ბოლოს სახელმწიფო დაწესებულებებს მიუმატეს მუნიციპალური დაწესებულებანიც და ამნაირათ მათი აზრით შრომის კანონის მოქმედების სფეროში მხოლოდ კერძო წარმოება-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურენი უნდა დარჩნენ. ჩვენ უნდა ვეცადოთ ჩვენს წრეში ჩავითრიოთ წვრილი მოხელენი, წვრილი ინტელიგენცია, ვინაიდან იგი არა დროს არ ყოფილა კონტრ-რევოლიუციონერად, პირიქით, ყოველთვის ჩვენკენ მოიწევდნენ და ეხლაც გვთხოვენ ჩვენთან შემოერთებას.

ამხ. **ს. დოლიძე**. შრომის კანონი ყველა მუშა-მოსამსახურეზე უნდა ვრცელდებოდეს. ნამდვილი მარქსისტული შეხედულებით, ეს სწორეა. ამას გარდა, ჩვენში განსაკუთრებული მდგომარეობაა. პროლეტარიატი მცირერიცხოვანია. მუშების მდგომარეობა უმჯობესდება და მისი მონათესავე წრეები არ უნდა გავთიშოთ. ისინი ჩვენ ვერაფერს დაგვაკლებენ და პირიქით, ჩვენს გავლენას დავუმორჩილებთ. ასე იყო რკინის გზელთა კავშირში. ვიდრე მოსამსახურენი და ადმინისტრატორები კავშირში იყვნენ, მემარჯვენეებიც კი ემორჩილებოდნენ კავშირის ყველა დადგენილებებს. (ხოლო შემდეგ, როცა ისინი გათიშეს, მაშინ დაუწყეს წინააღმდეგობა დაბალ მუშა-მოსამს.). ორატორი იმის მომხრეა, რომ ვინაიდან სახელმწიფო ჯერ ნორჩია და ღარიბი, შრომის კანონი გავრცელდეს ამ ხანათ მუშებზე და დაბალ მოსამსახურეებზე, ხოლო შემდეგ კი გადაისინჯოს კანონი და გავრცელდეს დანარჩენ მოსამსახურეებზედაც.

ამხ. **პ. წულაია.** ამ საკითხის გადაწყვეტაში მნიშვნელობა აქვს ერთ გარემოებას. ჩვენ, სოციალისტები ამ ჟამათ ვქმნით მხოლოდ დემოკრატიულ სახელმწიფოს და არა პირდაპირ სოციალისტურს და ამიტომ სხვადასხვა საკითხებიც ამის მიხედვით სწყდება. როგორც აქ, ისე დამფ. კრების სოც.-დემ. ფრაქციაშიაც შრომის კანონის შესახებ ორი აზრია, მაგრამ პარტიის შესწორებით კანონს უნდა დაექვემდებაროს ყველა-მუშა-მოსამსახურე, გარდა სახელმწიფო და მუნიციპალურ დაწესებულებათა.

უნდა გავიზიაროთ პარტიის თვალსაზრისი. რაც შეეხება „შესაცოდებელ“ ხალხს, მოხელეებს, სახელმწიფო მათზე ზრუნავს, როგორც ყველა მოქალაქეზე საერთო კონსტიტუციით.

ამხ. **გოლდმანი** მიუთითებს კრებას იმ გარემოებაზე, რომ კამათი სცდება თავის ნამდვილ საგანს და წვრილმან საკითხებზე გადადის. მისი აზრით ორატორებმა უნდა გაარჩიონ სიტყვა—სახელმწიფო დაწესებულების ორი მნიშვნელობა. ძველი შეხედულებით, რომელსაც იზიარებს დამფ. კრების იურიდიული კომისია, სახელმწიფო დაწესებულებათ ითვლება ისეთი დაწესებულება, რომლის შტატებს და ხარჯთ-აღრიცხვას ამტკიცებს პარლამენტი. მეორე უფრო ახალ შეხედულებით კი სახელმწიფო დაწესებულებათ ითვლება მხოლოდ ისეთი დაწესებულებანი, რომლებიც აღმასრულებელ—საჯარო უფლებების მატარებელია. ეხლა სახელმწიფოს მიზნათ აქვს დასახული მეურნეობის მოწყობა და სახელმწიფო უფრო მეტს ზრუნავს მეურნეობის განსახელმწიფოებრივობაზე.

არის ბევრი დაწესებულება, რომელიც ასეთი ფუნქციებისთვისაა შექმნილი და იგი ვერ ჩაითვლება სახელმწიფო დაწესებულებათ, ამ სიტყვის ნამდვილი აზრით. ამნაირათ სახელმწიფო დაწესებულებათა რიცხვში უნდა ჩაითვალოს მაგ. მილიცია, სასამართლო და სხ. ასეთ დაწესებულებათა მოხელეებზე ვერ გავრცელდება შრომის ხელშეკრულება. ხოლო რაც შეეხება ისეთ დაწესებულებებს, როგორიცაა მომარაგების, მიწათმოქმედების, გზათა და სხვა სამინისტროები, ესენი ითვლებიან სახელმწიფო დაწესებულებათ თვითმპყრობელობის დროს, ხოლო სოციალისტურ ქვეყანაში კი არა. აი, ამნაირად უნდა მივადგეთ იმის საკითხის გადაწყვეტას, თუ რომელ მოსამსახურეებზე უნდა გავრცელდეს შრომის ხელშეკრულება და საერთოდ მოხელეების კატეგორიებათ დაყოფას კი სრულიად უნდა გავანებოთ თავი.

ამხ. **გაჩეჩილაძე** მხარს უჭერს ამხ. გოლდმანს და ამბობს, რომ მაგ. ფოსტა-ტელეგრაფი შემოსავლის წყარო იყო თვითმპყრობელობისათვის, ხოლო ჩვენმა მთავრობამ მას მისცა სხვა მნიშვნელობა და დაუმორჩილა ხალხის განვითარების ინტერესებს.

ამხ. **მ. ტოროშელიძე** საჭიროთ სცნობს, რომ შრომის ხელშეკრულება ყველა მოსამსახურეებზე გავრცელდეს, გარდა ადმინისტრაციისა და ამბობს, რომ მოსამსახურეთა დაახლოვება მუშათა კლასთან, ზიანს ვერ მოუტანს უკანასკნელს და პირიქით, ის გააძლიერებს. მარქსი ამბობს: ერთნი დაიცავით და მეორენი—არა, პირიქით, უნდა დავიცვათ ყველა, ვისაც ექსპლოატაციის საფრთხე მოელის.

ამხ. **თევზაძე** წინააღმდეგია, რომ შრომის კანონი ყველა მოსამსახურეზე გავრცელდეს და ამბობს, რომ ადვილი შესაძლებელია—მოსამსახურეთა და მუშების ერთ ოჯახში მოქცევას მოჰყვეს პირველთა გამარჯვებას შიგნით მეორეებზე. უმჯობესათ მიმაჩნია მუშათა კლასი მცირერიცხოვანი დარჩეს, ხოლო იგი ჩამოყალიბებული იყოს, ხოლო შესაძლებლათ მიმაჩნია ზოგიერთი კომპრომისი შექმნილ საერთო მდგომარეობაში.

ამხ. **დობორჯგინიძე** ამბობს, რომ თუმცა მოხელენი ნივთიურად ეხლა გაჭირვებულნი არიან, მაგრამ მათ ფსიქოლოგია ისევ ძველებური აქვთ და ადვილი შესაძლებელია, შეიცვლება თუ არა პირობები, მუშათა შეხედულება აღარ გაიზიარონ. ორატორი წინააღმდეგია ამხ. გოლდმანის აზრისაც და მოითხოვს, რომ შრომის კანონი გავრცელდეს მხოლოდ დაბალ სახელმწიფო მოსამსახურეებზე და შიკრიკებზე.

ამხან. **ზაქრაძე.** მიზან-შეწონილათ სთვლის, რომ ხსენებული კანონი გავრცელდეს ყველა მოსამსახურეებზე, გარდა მაღალ თანამდებობის პირებისა. აღნიშნავს, რომ რკინის გზაზე მოსამსახურეთა კავშირიდან განდევნამ დიდი ზიანი მიაყენა საქმეს. ასე იქნება ამ შემთხვევაშიაც და საჭირო გახდება მომავალში ასეთ გადაწყვეტილების გადახედვა.

ამხ. **სხირტლაძე** იმ აზრს იცავს, რომ კანონი უნდა ეხებოდეს მხოლოდ მათ, ვინც ფიზიკურ შრომას ეწევიან, სხვათა შორის იმიტომაც, რომ მუშათა კლასი ყოველთვის განმარტოებული იყო და მოხელეებს ეზიზღებოდათ კიდეც მუშები. ამასთანავე მოხელენი უზრუნველყოფილნი არიან პენსიით, მუშები კი-არა.

ამხ. **თოფაძე**. თუ მოხელენი მოხელეებათ დარჩნენ, ჩვენ მათ ფსიქოლოგიაში რევოლიუცია უნდა შევიტანოთ. ამას გარდა, კალმის მუშებიც მუშები არიან, ისინიც ისე უძლურდებიან თავის შრომისგან, როგორც ფიზიკური შრომის მუშები. მოხელენი ჩვენი კანონის ქვეშ უნდა დავაყენოთ, თუნდაც იმიტომ, რომ მათთვის უკეთესი კანონი არ შექნან. ამას გარდა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებათა მოსამსახურეებისთვის თანასწორი პირობები უნდა შევქმნათ, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში სასარგებლო მუშაკები სახელმწიფო სამსახურიდან გადავლენ კერძო დაწესებულებებში, თუ იქ უკეთესი პირობები შექმენით მათთვის.

**ამხ. მახვილაძისა.** სამართლიანობა მოითხოვს, რომ შრომის რეგლამენტაცია ეხებოდეს ყველა მუშა-მოსამსახურეს, რადგან მუშაა ყველა, ვინც თავის შრომას ჰყიდის.

კრების თავმჯდომარე ამხ. **ნოდია** უარჰყოფს ზედმეტ ღირებულების პრინციპის დაცვის საჭიროებას, ვინაიდან ამ შემთხვევაში ტრანსპორტის მუშებიც კი შრომის კანონის გარეშე დარჩებიანო. მოსამსახურეთა მუშათა წრეში შემოშვების გამო ზოგიერთ ორატორების მიერ გამოთქმულ შიშის შესახებ ამბობს, რომ ამით მოსამსახურეებს დაიახლოვებს მუშათა კლასი და შეაბრძოლებს ბურჟუაზიას და პირიქით, მუშები უნდა სცდილობდენ, რომ მოსამსახურენი მათ გვერდში ამოუდგნენ ამ ბრძოლაში. ორატორს მიუღებლათ მიაჩნია აგრეთვე ამხ. გიორგაძის პრინციპიც და უჭერს რა მხარს ამხ. გოლდმანს, ამბობს, რომ შრომის რეგლამენტაცია უნდა გავრცელდეს ყველაზე, გარდა საჯარო უფლებების მატარებლებისა.

კამათი სწყდება.

კრება ღებულობს შემდეგ რეზოლიუციას:

„საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური და ადგილობრივი საბჭოთა წარმომადგენლების გაერთიანებულმა თათბირმა მოისმინა რა დამფ. კრების, შრომისა და იურიდიულ კომისიების წარმომადგენელთა მოხსენება, დაადგინა: შრომის ხელშეკრულება უნდა გავრცელდეს როგორც კერძო და საზოგადოებრივ წარმოებაზე, ისე სახელმწიფოებრივ და მუნიციპალურ დაწესებულებების ყველა დაბალ მუშა-მოსამსახურეებზე, გარდა ადმინისტრატიულ პირთა და საჯარო უფლებების მატარებელ მოხელეებისა.

(გაგრძელება იქნება.)

# ს. დ.-პარტიაში

**თფილისი.** 4 ივნისს შესდგა ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის სხდომა; დაესწრო მთელი შემადგენლობა და რაიონში არსებული ქვეკოლექტივისა და იაჩეიკების წარმომადგენლები. განსახილველი იყო მოხსენება თფ. კომიტეტიდან, ადგილობრივი კომისიების მუშაობა, პირველ სამხედრო სასურსათო მაღაზიის გამგის ან. რამიშვილისა და ადგილობრივ მუშებს შორის უთანხმოება და სხვა წვრილი საკითხები.

მოხსენება თფ. კომიტეტიდან გააკეთა ამხ. მ. წივწივაძემ. გააცნო მან სხდომას მომავალი პარტიული ყრილობის საკითხები. სხდომას ემცნო აგრეთვე აგრარული რეფორმების გარშემო მუშაობა, მუსულმანთა პარტიების მუშაობა, და ცენტრალური კომიტეტის სხდომამ სიამოვნებით მოისმინა მოხსენება საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის დადებული საზავო ხელშეკრულობის შესახებ. მწუხარება გამოსთქვა სხდომამ, რომ საქართველოს დემოკრატიის მტრები მავნე და დამღუპველი ინფორმაციას აკეთებდენ საბჭოთა რუსეთში საქართველოს შესახებ.

მოხსენების შემდეგ სხდომა შეეხო იმ უთანხმოების გამოკვლევას, რომელიც ხდება ამხ. ანდ. რამიშვილისა და ამხ. მუშებს შორის. კოლექტივმა საჭიროდ დაინახა ამ კითხვის გამოსარკვევად რამიშვილს მიეღო მონაწილეობა. რამიშვილი მოვიდა სხდომაზე და კოლექტივს ამცნო ის არასასურველი პირობები, რომელიც ხდება ხან გაუგებრობით და ხან მუშების მეტისმეტ აუტანელ პირობებში მუშაობით. კოლექტივის სხდომაზე აგრეთვე აღნიშნულ იქნა ის არა სასურველი მდგომარეობა, რომ პარტიულ მუშაობას სასურსათო მაღაზიის მუშებს შორის ხშირად ელობება წინ რამიშვილის ზოგიერთი მოქმედებები, რის თავიდან ასაცილებლად კოლექტივმა მიიღო დადგინილება, რომ მუშებსა და მაღაზიის გამგეს შორის დამყარდეს ისეთი ფორმა მუშაობისა, რომლის საშუალებით თავიდან აცილებული იქნება პარტიული მუშაობის შეფერხება და მასთან სახელმწიფოს ინტერესები არ იქნება გათელილი. ამისათვის კოლექტივი იწვევს სამხედრო მაღაზიის მუშების წარმომადგენელთა კრებას, სადაც უნდა დაესწროს განახლებულ ლითონზე მომუშავეთა კავშირის წარმომადგენლები. განხილულ უნდა იქნეს კოლექტიური ხელშეკრულება.

სექციების შესახებ კოლექტივს ემცნო, რომ მუშაობს სომხური სექცია და შესდგა უკვე რუსული ჯგუფი, რომელიც სისტემატიურად იკრიბება, სადაც მოხსენებას კითხულობს ამხ. ათაბეგოვ-ტუმასი.

ამხ. გიორგი ბუგდანოვი, რომელიც დაბრუნდა ფრონტიდან და გვარდიელებს გადასცა საჩუქრები, შემდეგს ამცნობს კოლექტივს: ფრონტზე მან ინახულა მესამე რაიონის გვარდია, რომლებიც ჯანმრთელად არიან და გამარჯვების წყურვილით არიან აღფრთოვანებულნი. გვარდია სალამს უძლვნის მესამე რაიონულ კოლექტივს. სიამოვნებით ისმენს კოლექტივი ამ ამბავს და თავის მხრით მხურვალე სალამს უძლვნის იმ გვარდიას, რომელიც ფრონტზე ამ სიკვდილის აჩრდილის სამეფოშიაც არ ივიწყებს თავის ოჯახს, თავის ორგანიზაციას.

დასასრულ კოლ. მოისმინა წვრილი განცხადებანი.

**ვერხვი.**

# მუშათა შორის

**თფილისი.** 5 ივნისს შესდგა ავლაბრის რაიონის მკერავ ქალთა პროფ. კავშირის კრება. მოხსენება გააკეთა დამფუძნებელ კრების წევრმა ამხ. გ. ცინცაბაძემ. კრებამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: ავლაბრის მკერავ ქალთა პროფ. კავშირის წევრთა კრებამ მოისმინა რა მოხსენება ამხ. გრ. ცინცაბაძისა, სავსებით მხარს უჭერს მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს, რომელიც მიმართულია რესპუბლიკის გადასარჩენად. სალამს უძლვნის დამფუძნებელ კრებას, ჩვენ საამაყო სახალხო გვარდიას და რესპუბლიკის ჯარს, რომლებიც მტკიცედ, თავის სიცოცხლის ფასად იცავს ჩვენს თავისუფლებას. გაუმარჯოს ჩვენს მთავრობას, მუშათა კლასი სისხლითა და ძვლებით მოპოვებულ თავისუფლებას, გაუმარჯოს სოციალიზმს.

X.

# პროვინცია

**ს. ნაფარეული** (თელავის მაზრა). მთავრობამ გამოგზავნა კომისია, რომელმაც დაათვალიერა ს. ნაფარეული და მისი რაიონები, რომელიც იყო სეტყვისაგან განადგურებული. კომისია ძალიან დაანაღვლიანა განადგურებულმა მიდამოებმა, კომისიამ სასწრაფოთ მიიღო ზომები, რაც შეიძლებოდა ჩქარა მიეწოდებინათ სათესლე სიმინდი დაზარალებულთათვის. ორი დღის განმავლობაში 500 ფუთამდის სათესლე სიმინდი შეიძინა სხვა რაიონებში, მიიტანა და დაურიგა საზოგადოებას. დაურიგა მათ, ვისაც უფრო ძალიან ესაჭიროებოდა. კომისიამ უმთავრესი ყურადღება მიაქცია, ჯარისკაცების და გვარდიელების ოჯახებს. ამ გარემოებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაში... დიდი ნდობა და იმედი აქვთ მთავრობისა. სთესენ სიმინდებს ნაყანობებში. კომისიამ დიდი უნარი გამოიჩინა აგრეთვე თუთის ფურცლის შესაძენათ; ამოირჩია ცალკე კომისია რომელთაც დაევალათ დაუსეტყვავ რაიონებში წასვლა და ფურცლის შეძენა, რომელიც სისრულეში იქნა მოყვანილი, თუმცა ჭიის პატრონებს და ფურცლის პატრონებს შორის უკმაყოფილებას აქვს ადგილი. ზოგ დაუსეტყვავ სოფელში განადგურებულია ფურცლები. დიდი მადლობის ღირსია კომისია, რომელიც ენერგიულათ მუშაობს.

**გ. ხალუაშვილი.**

**სენაკის მაზრაში.** ცხენების მობილიზაცია დამთავრდა. სენაკის სამაზრო ერობის გამგეობამ მოთხოვნილი ცხენების რაოდენობა უკლებლივ ჩააბარა სამხედრო უწყების წარმომადგენელს დანიშნულებისამებრ გადასაგზავნად. აღნიშნული ერობის გამგეობა სთხოვს სამნეო კომიტეტს, რათა ამ უკანასკნელმა გადმოუგზავნოს მას საჭირო თანხა ცხენების პატრონთათვის დასარიგებლათ.

**ხონი.** სასურსათო კრიზისი უკიდურეს წერტილამდე ავიდა. სიმინდი ათას მანეთამდე ფასობს ფუთი. საზოგადოების საგრძნობი ნაწილი როგორც ხონში, ისე ახლო-მახლო მდებარე თემებში, პირდაპირ შიმშილობს. საშინლად გამრავლდა მათხოვრობის სურვილი. ქალაქის გამგეობაში დღეში რამოდენიმე ათეული სიმინდის მთხოვნელი შედის. ნახულევში და კუხში ასობით ითვლება სისტემატიურად მოშიმშილე ოჯახები. მართალია, ქალაქის გამგეობამ 2 ვაგონი სიმინდი ჩამოიტანა ამ დღეებში და 35 თუმნათ დაარიგა, მაგრამ ამან ვერაფერი გავლენა მოახდინა ბაზარზე. საჭიროა ქალაქის გამგეობის და თემების მხრივ სასწრაფო ზომების მიღება.

**ს. მეჯვრისხევი** (გორის მაზრა). ცუდი ამინდების გამო ფრონტის დღე ს. მეჯვრისხევში გამართულ იქნა 1 და 2 ივნისს ადგილობრივ სახალხო გვარ. კულტურულ სექციის ინიციატივით. ადგილობრივი კულტურული ძალები და ორგანიზაციები დიდ დახმარებას გვიწევდნენ ამ საქმეში. ხალხი დიდის აღფრთოვანებით შეხვდა ფრონტის დღეს, მათ შეგნებულათ გაიღეს თავისი წვლილი. სულ 9 ყულაბებით შეგროვილ იქნა საერთოდ 8221 მ. 90 კ. დახარჯულ იქნა ამ თანხიდან 268 მ., წმინდა შემოსავალი დარჩა 7953 მ. 90 კ., რომელიც გადაეცა თანახმად კომიტეტის დადგენილებისა გორის საოლქო სახ. გვარ. შტაბის ფრონტის დღის მომწყობ კომისიას, გვარ. რწმუნებ. ე. წიფურიას ხელით. მხურვალე მადლობას ვუცხადებთ ყველა იმ პირთ, რომელთაც თავისი დაუღალავი შრომით და მუშაობით დახმარება გაგვიწიეს ამ საქმეში.

გორის საოლქო **სახალხო გვარდიის** შტაბის რწმუნებული მეჯვრისხევის რაიონში **ექვთიმე წიფურია.**


# დავკარგე

სახლის წიგნი № 464 და ვაცხადებ გაუქმებულათ.

**ალექსანდრე ჯამასპოვი.**

(1846 1—1)

# იყიდება მეწველი ძროხა.

**ნაძალადევი**, რუსთაველის ქუჩა № 33.

(1849 2—1)

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838—თ.

ექიმი **ივ. გოკერია**

პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საკუშერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 1—97. (1835—თ.)

ექიმი **დ. ვ. ჯავახიშვილი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 8—9 ს. დილის და საღამოს 4—6 ს—დის მისამართი: მიხეილის პროსპექტი № 64 (საავადმყოფოს ახლო). ტელეფონი 14—60. (1808—თ.)

დოქტორი **გ. გ. მეგრაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა—ჰლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. (1790—თ.)

ექიმი **კ. გ. ვართანოვი**

სპეციალურად კანასა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (1700—თ.)

ექიმი **გ. ი. ოქროპირიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი **ნ. ა. არუთინოვი**

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა 3. მიღება დილით 8—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

კბილის ექიმი **ე. თ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა**

და მისი ასისტენტი მ. ა. დოლიძე იღებენ კბილით ავათმყოფებს: აკეთებენ ხელოვნურ კბილებს, ასწორებენ უსწორმასწორო კბილებს. ავათმყოფებს მიიღებენ დილის 10—2 საათ. და საღ. 4—6 საათ. ანასტასიას ქუჩა № 13. ტელეფონი 3—63. (24—6)

ოზურგ[illegible]

ექიმი **აბაშიძე**

ღებულობს ავათმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების, ჰლექის აქიმობა „ტუბერკულინით“ და „ფოსფაციდით“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914“ და „606“ შეშხაპუნებით. ქ. სიამაშვილის სახლში. (კუპ. 396.)

ექიმი **ნიკოლოზ მახვილაძე**

იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე, საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1255 48—6)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამათი ოლღას ქ. № 33. (1288 25—4)

ექიმი **გენრიხ ისაიას ძე ვოლოხი**

ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს დილით 1—2 ს., საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ექიმი **ნ. ლ. ტურიაშვილი**

იღებს ქალურ, საბებიო და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე პარასკევს გარდა შუადღის 1—2 და საღ, 4—5 ჩერქეზოვის ქუჩა № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (1773—თ.)

ექიმი **ა. ლევენშტეინი**

შინაგანი და ნერვით სნეულებიანი რენტგენის და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 ს. და საღამოს 4—7 ს. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3, ტელეფონი 12—46. (1518—თ.)

ექიმი **მ. გოლშტეინი**

**თვალით ავათმყოფი** (სათვაალეების გამორჩევა) დილის 9—12 ს. 4—7 საათ. საღ. ნიკოლოზის ქ. № 32. (1587 თ.)

ექიმი **სოლომონ ისაიას ძე ვოლოხი**

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. (1742—თ.)

ექიმი **ე. მ. მძინარიშვილი**

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი: მიღება ყოველ დღე 8—1 ს. და 4—7 ს. საკუთარ სამკურნალოში. მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტის და კიროჩნი ქუჩ. №22 ტელ. 10—87. (1638 თ.)

ექიმი **ნ. მ. გაჩეჩილაძე**

(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავათმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4. (უ. 25—2)

# კაფე რესტორანი „26“ ში

12 ივნისიდან კვირაში სამჯერ საღამოობით

# დაუკრავს საზანდარი

სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით საღამოს 7 საათიდან. სახელგანთქმული მექიანურის სანდრო მარტიროზოვის მეთაურობით. მონაწილეობენ მეთარე ცნობილი სანდრო არუშანოვი და განთქმული მომღერალი არუთინოვი—თანამშრომლებით. **კაფეში** მოიპოვება ადგილობრივი და საზღვარ-გარეთული სასმელი. აქვს საუცხოვოდ მოწყობილი კუჰნა ევროპიული და ქართული საჭმელებით. მიუხედავათ სიცხეებისა, **კაფეში** გრილა, უხვი ჰაერია და სინათლე. ფასები ყველაფერზე ზომიერია.

სადილი იწყება 1 ს-დან—5 საათამდე. მსურველთ ეგზავნება სახლშიაც. ვიღებთ აგრეთვე ყოველგვარს შეკვეთას. **გამგეობა.** (1858—1—1)

მომხმარებელი საზ. „თფილისის კოოპერატივის“

# წლიური კრება

დანიშნულია კვირას, 13 ივნისს, 1920 წ. დილის 10 საათზე „თფილისის კრუჟოკის“ საზაფხულო შენობაში (კიროჩნი ქ., ვერის ხიდის ახლოს.)

დღის წესრიგი: 1) 1919 წ. ანგარიში, 2) 1920 წ. სმეტის პროექტის განხილვა, 3) პაის გადიდება, 4) გამოკლებულ გამგეობის, სარევიზიო კომისიის წევრების და მათი თანაშემწეების არჩევნები, 5) მიმდინარე საკითხები. თუ კრება კანონიერი არ შედგა წევრების დაუსწრებლობის გამო, მეორე კრება დანიშნულია იმავე დღეს, იმავე შენობაში დილის 11 საათზე წესდების 32 პარაგრაფის თანახმათ და კანონიერი იქნება რამდენი წევრიც დაესწრება. იმ პირთ, რომელთაც საზოგადო კრებამდის არ შემოუტანიათ დამატებითი გადასახადი 40 მ. წესდებაში შენიშვნის 16 პარაგრაფის ძალით გადამწყვეტი ხმა არ ექნებათ. კრებაზე შესასვლელათ საჭიროა წევრებმა თან იქონიონ საწევრო წიგნაკები.

(1845 1—1)

# იყიდება ყინული

გრიბოედოვის ქ: № 24, (1834 3—3)